ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 10 იანვარი, 2022 | №6 (8784) | ფასი: 60 თეთრი

მუხროვანში ხეზე მიბმული მამაკაცის ცხედარი იპოვეს

„სხვაგან არის მოკლული და მერე აქაა მოყვანილი“

გვ.5

„ყაზახეთში ჩინეთისა და რუსეთის კონკურენცია გამოჩნდა“

გვ.2

ხათუნა ლაგაზიძე:

„4 წელია, რუსეთთან გაგანია არაკონვენციური ომის პირობებში გვიწევს ცხოვრება“

ანზორ აბრალავა: „შიმშილობა წყდება მაშინ, როცა წყდება დაფინანსება“

გვ.3

„სააკაშვილს ჰგონია, რომ ჩვენ, ყველა, მისთვის უნდა ვარსებობდეთ“

გვ.4

„პარტიები ჩვენთან კლუბურ სისტემად ჩამოყალიბდნენ“

ლევან ალაფიშვილი: „2019 წლიდან ოპოზიციურ ფლანგზე დიდი გაურკვევლობაა“

ადვოკატები უკრაინის პროკურატურას მიმართავენ, რომ სააკაშვილის დაჩაგვრის ფაქტებზე გამოძიება დაიწყოს

გვ.2

რატომ შეჩერდა სამგზავრო ბარათების გაცემა

გვ.4

გვ.3

ზუგდიდის მერიაში ფული დაარიგეს

ISSN 1987-9385

2 შალვა პაპუაშვილი: „პარლამენტის კანონებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონია“

6 ქალმა კოვიდინფიცირებული შვილი მანქანის საბარგულში ჩაკეტა

3 საიდან და რა ფასად ყიდულობს საქართველო საწვავს

6 ყაზახეთის უშიშროების ყოფილი შეფი კარიმ მასიმოვი დააკავეს

ხათუნა ლაგაზიძე: „ყაზახეთში ჩინეთისა და რუსეთის კონკურენცია გამოჩნდა“

„4 წელია, რუსეთთან გაგანია არაკონვენციური ომის პირობებში გვიწევს ცხოვრება“

იაგო ნაცვლიშვილი

რას უნდა ველოდოთ ამერიკა-რუსეთისა და ნატო-რუსეთის შეხვედრაზე და რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ყაზახეთში მიმდინარე მოვლენებს? რატომ არ არის აქტიური ყაზახურ მოვლენებში დასავლეთი და რა გავლენა აქვს ჩინეთს? გამოწვევებთან ერთად უჩნდება თუ არა საქართველოს პერსპექტივაც და რამდენად იქნება საქართველოზეც საუბარი უკრაინის კონტექსტში? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ხათუნა ლაგაზიძე საუბრობს.

– დაგეგმილია რუსეთ-ამერიკის შეხვედრა და ამის წინ ყაზახეთში მიმდინარე მოვლენები რას ნიშნავს? სადაც ნათლად გამოჩნდა რუსეთის როლი, თუმცა დასავლეთის როლი აქაც ინერტულია. თქვენ როგორ აფასებთ ამ ვითარებას?

– დასავლეთი კარგა ხანია შეეგუა იმას, რომ შუა აზიის სახელმწიფოები რუსეთის გავლენის სფეროა, სადაც ფართოდ არის წარმოდგენილი ჩინეთის ინტერესები. ამიტომ იქ ჩინეთის მოძრაობები უფრო საინტერესოა. სწორედ რომ ჩინეთის პრეზიდენტმა მიმართა ამ დღეებში ყაზახეთის პრეზიდენტს და აღუთქვა მეგობრული გვერდში დგომა და უსურვა, რაც შეიძლება სწრაფად გაანეიტრალოს ბანდფორმირებები და ტერორისტული დაჯგუფებები. ეს იყო მნიშვნელოვანი აქცენტი. ანუ, ჩინეთის პრეზიდენტი ამ განცხადებით დაეთანხმა ყაზახეთის პრეზიდენტს, რომ ყაზახეთში მოქმედებდნენ ტერორისტები ანუ თალიბანის წევრები ან მათი ადგილობრივი მომხრეები, რადგან მეზობლობიდან გამომდინარე, საკმაოდ მაღალია ყაზახეთში მათი ყოფნის ალბათობა. აკი თქვა კიდეც ნაზარბაევის ყოფილმა თანაშემწემ, რომ ყაზახეთის უშიშროებამ შეგნებულად დამალა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მთებში მიდიოდა ტერორისტების წვრთნა. ანუ, ეს ინფორმაციები და განცხადებები მძივივით არის აკინძული.

მანამდე ყაზახეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ათასობით ტერორისტი მარტო ალმატიში იყო შემოსული და ბრძანება გასცა, რომ გაფრთხილების გარეშე ესროლონ. განსაკუთრებით ნიშანდობლივია პუტინის პრესმდივნის პესკოვის განცხადება, რომელმაც განაცხადა, რომ ყაზახეთისა და რუსეთის პრეზიდენტები შეთანხმდნენ ერთობლივი ძალებით გაუმკლავდნენ საერთაშორისო ტერორიზმს ყაზახეთში. ყაზახეთი ქვეყანაა, რომელიც თანაბრად მნიშვნელოვანია რუსეთისა და ჩინეთისთვის. არის თურქული ინტერესები, მაგრამ ამ ორი ქვეყნის ინტერესები გაცილებით მაღალია.

– მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეებად ითვლებიან რუსეთი და ჩინეთი, რაღაც კონკურენციაც ხომ არ გამოჩნდა პოლიტიკური თვალსაზრისით? მართალია ყაზახეთში მხოლოდ ეკონომიკური ინტერესი აქვს ჩინეთს, მაგრამ ტაჯიკეთში სამხედრო ინტერესიც გაუჩნდა. ჩინეთი, რომელიც გაბატონებულია ეკონომიკურად, პოლიტიკური ამბიციებიც ხომ არ გაუჩნდა?

– თავისთავად, ეს კონკურენცია არსებობს. მე ამას მოკავშირეებს ნაკლებად დავარქმევდი, უფრო სიტუაციური მოკავშირეები არიან, ანუ სხვადასხვა თემების ირგვლივ თანხმდებიან ჩინეთი და რუსეთი. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც საქმე აშშ-ს ეხება. თუ მაინცდამაინც პარტნიორობაზე ვისაუბრებთ, ამ შემთხვევაში უფროსი პარტნიორი ჩინეთია, ხოლო რუსეთი ქვემდგომი. რუსეთმა „ოდიკაბის“ სახით ყირგიზეთში შესვლით ჩინეთის გავლენების შემცირებაზე უფრო იფიქრა, ვიდრე დასავლეთის, იმიტომ, რომ იქ დასავლეთის გავლენები მინიმალურია.

ჩინეთის პრეზიდენტის აღიარება, რომ ყაზახეთში მოქმედებენ ტერორისტები ყაზახეთის და რუსეთის ერთიან ნარატივზე ასხამს წყალს. სიძინპინმა ასევე უცნაურად დააკავშირა ყაზახური ჯანყი და ჩინეთ-ყაზახეთის ურთიერთობები. კერძოდ, მან თქვა, რომ ყაზახეთში განვითარებული მოვლენები დარტყმას აყენებს ყაზახეთი-ჩინეთის ურთიერთობასა და პარტნიორობას. საინტერესოა, ჩინეთ-ყაზახეთის ურთიერთობების ძირის გამოთხრად მან იგულისხმა უშუალო ჯანყი თუ შემდგომი პროცესები, ანუ „ოდიკაბის“ ეგიდით რუსული ჯარის შესვლა. ოფიციალურად 3700 ჯარისკაცის შესვლაზეა საუბარი, თუმცა სოციალურ ქსელებში გავრცელებული ვიდეოები ადასტურებს, რომ გაცილებით მეტი ჯარისკაცისა და სამხედრო ტექნიკის შესვლა მოხდა.

ასევე ძალიან საგულისხმოა „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ ყაზახეთისთვის გაკეთებული შეთავაზება. „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია“, შეიძლება ითქვას, რომ ჩინური „ოდეკაბეა“ ანუ რეგიონის ქვეყნების გაერთიანება-თანამშრომლობა ეკონომიკისა და უსაფრთხოების სფეროში, სადაც წამყვან როლს ჩინეთი ასრულებს. ამ ორგანიზაცია აქვს ანტიტერორისტული რგოლი, რომლის დახმარებაც შესთავაზეს ყაზახეთს ტერორისტებთან გასამკლავებლად.

საგულისხმოა „შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის“ ყაზახეთისთვის გაკეთებული შეთავაზება, რომელიც ჩინური „ოდიკაბეა.“

„ყაზახეთში ჩინეთისა და რუსეთის კონკურენცია გამოჩნდა – ჩინეთის რბილი ძალა სწორედ ესაა, რომ ეკონომიკური გავლენებით პოლიტიკურის მოპოვებას ცდილობს“

– ჩინეთის პრეზიდენტის განცხადება, რომ საფრთხე ემუქრება ჩინეთ-ყაზახეთის ურთიერთობებს, ეს იმგვარადაც ხომ არ უნდა გავიგოთ, რომ ის არ დაუშვებს რუსეთის გავლენის ზრდას?

– ის მაქსიმალურად ეცდება, რომ არ იყოს გაძევებული მისი პოლიტიკური ინტერესები ყაზახეთიდან. ანუ, რუსეთის სრული დომინაცია არ მოხდეს იმგვარად, რომ იქ ჩინეთმა ფეხი ვეღარ ჩადგას. რა თქმა უნდა, ეკონომიკურ ინტერესებს ჩინეთი არ დათმობს და რუსეთი დიდად ვერც ჩაანაცვლებს ამას, მაგრამ ჩინეთის რბილი ძალა სწორედ ეს არის, რომ ეკონომიკური გავლენებით ცდილობს პოლიტიკური გავლენების მოპოვებას. მას აქვს ეკონომიკური გავლენა ცენტრალურ აზიაში, აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაშიც კი და მისი თანმდევია პოლიტიკური გავლენები. ჩინეთის ტაქტიკაა, რომ ეკონომიკური გზით ქვეყნებზე მოიპოვოს დომინაცია. ყაზახეთში რუსეთს სამხედროების ყოფნით ამის უფლება თუ არ ესპობა, ეზღუდება მაინც, ამიტომაც შანხაის ორგანიზაციის მიერ გაკეთებული შეთავაზებით, ჩინეთი ცდილობს, რომ ტერორიზმთან ბრძოლის ეგიდით თავის სამხედროებსაც „ჩააყოფინოს ფეხი“ ყაზახეთში. ეს მაგონებს თურქეთის მცდელობას ყარაბაღის ომის შემდეგ მცირე დოზით, მონიტორინგის ფორმატით თავისი სამხედროებიც ჩაეყენებინა აზერბაიჯანში.

რაც შეეხება იმას, რომ რუსეთი, ჩინეთი და ყაზახეთი თანხმდებიან იმაზე, რომ იქ მიმდინარეობს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ბერკეტი რუსეთისთვის დაგეგმილ მოლაპარაკებებში, რომელსაც ის აშშ-სა და ნატოსთან გამართავს. მნიშვნელოვანია, ასევე, ფსიქოლოგიური უპირატესობის მოსაპოვებლად. იმასაც კი ამბობს რუსული მედია, რომ ეს არის ორგანიზებული ყაზახეთის ოპოზიციის მიერ, საუბარია ენერგეტიკის ყოფილ მინისტრზე და ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ბანკის დირექტორზე, რომელიც ყაზახეთიდან გაძევებულია და საფრანგეთში ცხოვრობს. თითქოსდა ის მართავს პროცესებს ბრიტანეთის დავალებით. დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ აშშ-ნატოსთან მოლაპარაკების პროცესში რუსეთის მთავარი არგუმენტი იქნება ის, რომ ის ებრძვის საერთაშორისო ტერორიზმს ყაზახეთში და მოითხოვს ლეგიტიმაციას მთელ ცენტრალურ და შუა აზიაში ტერორიზმთან ბრძოლის თვალსაზრისით. ეს ხელფეხს უხსნის რუსეთს აზიაში კონტროლისთვის, სადაც მისი ერთადერთი დამაბალანსებელი ჩინეთია და არა – დასავლეთი.

– ამ ეტაპზე რუსეთი უგებს დასავლეთს ომს?

– ამ ეტაპზე ასეა. ეს არის რუსული ტრიუკი და არ ვიცი, რამდენად მოკლევადიანი თუ გრძელვადიანია რუსეთის ეს ტრიუმფი და შეძლებს კი დასავლეთის დიპლომატია, რომ რუსეთის ეს ტრიუმფალური განწყობა, რომლითაც ის დაჯდება მოლაპარაკების მაგიდასთან, აქციოს არა მის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შალვა პაპუაშვილი: „პარლამენტის კანონებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონია“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის განცხადებით, პარლამენტის მიერ შარშან მიღებული კანონებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონია.

როგორც პაპუაშვილი აღნიშნავს, ამ რეფორმით ჩანაცვლდა 1994 წლიდან მოქმედი კანონი და ქართული საკორპორაციო კანონმდებლობა ევროკავშირის სამართალს სრულად დაუახლოვდა.

მისივე შეფასებით, აღნიშნულით კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადაიდგა 2024 წელს ევროკავშირის წევრობის განაცხადისთვის.

„პარლამენტის მიერ შარშან მიღებული კანონებიდან, ყველაზე მნიშვნელოვანი, ალბათ, „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონია. ამ რეფორმით ჩანაცვლდა ჯერ კიდევ 1994 წლიდან მოქმედი კანონი, რომელსაც, განსაკუთრებით დერეგულაციის ტალღის შედეგად, თითქმის სრულად გამოცლილი ჰქონდა შინაარსი.

„მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი 2022 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა.

ამით შესრულდა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების კიდევ ერთი პუნქტი, ქართული საკორპორაციო კანონმდებლობა სრულად დაუახლოვდა ევროკავშირის სამართალს და კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი გადაიდგა 2024 წელს ევროკავშირის წევრობის განაცხადისთვის.

გასახარია, რომ მიუხედავად რთული წლისა, პარლამენტმა ამ ისტორიული რეფორმის განხორციელება შეძლო.

ამისთვის განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო მიხეილ სარჯველაძეს, რომელმაც ჯერ იუსტიციის მინისტრის მოადგილის, ხოლო შარშან პარლამენტის წევრის რანგში, უხელმძღვანელა პროექტის შექმნის პროცესს და ის კანონად აქცია.

მადლობა მინდა გადავუხადო ყველა მეცნიერს, მოსამართლეს, ადვოკატს, ბიზნესის წარმომადგენელს, იუსტიციის სამინისტროს და საჯარო რეესტრის თანამშრომლებს, რომლებიც როგორც ავტორი, თუ როგორც პროექტის განხილვის დროს კონსულტაციის გამწევი, ჩართული იყვნენ ამ კანონის შექმნაში.

ახლა ჯერი კანონის სწორ დანერგვაშია, რისთვისაც გადამწყვეტია მეცნიერებისგან ბევრი სტატია და წიგნი ამ კანონზე, ხოლო პრაქტიკოსებისგან – თითოეული ნორმის გააზრება და სწორი გამოყენება.

ამ საქმეში, ერთ-ერთი დამხმარე, ქვემოთ ბმულზე მოცემული განმარტებებიც იქნება, რომელიც ჯერ კიდევ კანონის ბოლო რედაქციის მიღებამდე შეიქმნა და რომელშიც კანონპროექტის თითოეული ნორმა დეტალურად არის ახსნილი. ამისთვის, განსაკუთრებული მადლობა ამ განმარტებების ავტორებს გიორგი ჯუღელს და გეგა გიგუაშვილს“ – ნათქვამია პაპუაშვილის განცხადებაში.

ადვოკატები უკრაინის პროკურატურას მიმართავენ, რომ სააკაშვილის დაჩაგვრის ფაქტებზე გამოძიება დაიწყოს

ცენტრ „ემპათიას“ ხელმძღვანელის მარიან ჯიშკარიანის ინფორმაციით, ადვოკატები უკრაინაში მთავარ პროკურატურას მიმართავენ, რათა მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყოს.

როგორც მარიამ ჯიშკარიანი აცხადებს, სააკაშვილის პირად ექიმს და „ემპათიას“ არ ეძლევა ამ დრომდე საშუალება, რუსთავის მე-12 პენიტენციურ დაწესებულებაში სააკაშვილი მოინახულონ, შესაბამისად, უცნობია ექსპრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რაც საქართველოს კანონმდებლობის დარღვევაა.

– ვერაფერს ვიტყვით ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ვინაიდან, როგორც პირადი ექიმი ვერ შედის, ასევე ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს ნებართვა. შესაბამისად, ინფორმაცია, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, არ გვაქვს და ესეც საქართველოს კანონმდებლობის დარღვევაა, ვინაიდან, პაციენტს აქვს უფლება, მოიძიოს მეორე, ალტერნატიული აზრი. ასევე უფლება, ჩაიტაროს ექსპერტიზა.

იცით, რომ გორის სამხედრო ჰოსპიტალში ახალ გარემოებებს ჰქონდა ადგილი. ასევე, ჩვენი მოსაზრებით, მიმდინარეობს არაადეკვატური მკურნალობა და, შესაბამისად, ვითხოვთ დაუყოვნებლივ მიხეილ სააკაშვილთან დაშვებას.

მივმართეთ უკრაინაში ადვოკატებს და მათი დაცვის სტრატეგია ასეთია, რომ ისინი მიმართავენ მთავარ პროკურატურას უკრაინაში, რათა დაიწყოს გამოძიება მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე, – განაცხადა მარიამ ჯიშკარიანმა „მთავარ არხთან“.

ლევან ხაბეიშვილი: „საქართველოს ყველა ქალაქსა და რეგიონში მასობრივი პროტესტები უნდა დაიწყოს“

– მასობრივი, სახალხო პროტესტები უნდა დაიწყოს საქართველოს ყველა ქალაქსა და რეგიონში.

ამის შესახებ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, ქვეყანაში ფასების მატების ფონზე, მნიშვნელოვანია სახალხო პროტესტი.

– როცა გაძვირდა კომუნალური გადასახადები, ელექტროენერგია, გაზი, საწვავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი დედაქალაქში, გაძვირდა პირველადი მოხმარების პროდუქტები, მედიკამენტები.

ამ გაძვირების, ამ უსამართლობის ფონზე, ძალიან მნიშვნელოვანია, დიდი სახალხო პროტესტი და მოძრაობა, რომელიც შეიწირავს, პირდაპირი მნიშვნელობით, რუს ოლიგარქს და მის კრიმინალურ ხელისუფლებას, – განაცხადა ხაბეიშვილმა მედიასთან.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„სააკაშვილს ჰგონია, რომ ჩვენ, ყველა, მისთვის უნდა ვარსებობდეთ“

ანზორ აბრალავა: „შიმშილობა წყდება მაშინ, როცა წყდება დაფინანსება“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყნის შიგნით შექმნილ რთულ მდგომარეობაზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, ანზორ აბრალავას.

– ნაციონალური მოძრაობა ახალი წლის დღესასწაულებზეც მძლავრ აქციებს აანონსებდა. თუმცა, საახალწლოდ სააკაშვილის მოწოდების შემდეგ შიმშილობის აქციაც შეწყდა. როგორც ჩანს, ოპოზიცია არც საპარლამენტო ბოიკოტს აღადგენს. პარლამენტში შესვლას არ გამორიცხავს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი. თქვენ როგორ დაახასიათებთ შექმნილ მდგომარეობას?

– ნაცმოძრაობის შიმშილობა ყოველთვის ფულს უკავშირდება. შიმშილობა წყდება მაშინ, როცა წყდება დაფინანსება. ყოველი დღე დაფინანსებულია. ნაცმოძრაობას უკვე მერამდენედ ჩაუვარდა გეგმები. ესენი დიდი ხანია ამზადებენ სახელმწიფო გადატრიალებას და ამისათვის აუცილებელ სოციალურ ამბოხს. ადამიანებს აქვთ პრობლემები, მაგრამ საზოგადოების განწყობა მაინც ისეთი არ არის, ამბოხს რომ სჭირდება. გაიძახიან, მშვიდობიანი გზა ავირჩიეთ, ყველა აქცია მშვიდობიანიაო. თუ ამ ვაიოპოზიციის ყველა განცხადებას გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ სინამდვილეში შორს არიან მშვიდობიანი მეთოდებისაგან. მათ რიტორიკაში ისმის „ყველა ღონეს მივმართავთ“, „ამას და იმას დავსჯით“ და სხვა. შავ სიებს ისევ ადგენენ. ეტყობა, ამ შავ სიაში შეყვანილია ყველა, ვინც სააკაშვილმა თავისი მმართველობის დროს ჩარეცხა და სხვებიც დაამატეს. ყველას გვახსოვს, რომ სააკაშვილი თავიდან იცილებდა ყველას, ვინც მასზე უფროსი იყო. 40 წლის ზემოთ არ უნდოდა არავინ. რამდენიმე წელიწადში თვითონ ხდება 60 წლის. მაინც სხვების დასჯაზეა ორიენტირებული. ადრეც მითქვამს, რომ ნაცმოძრაობა თავის ანტისახელმწიფოებრივ აქტივობებს უკავშირებს თანამშრომლობის გააქტიურებას საქართველოსა და ნატოს შორის. მათმა გეგმამ ეს უნდა ჩაშალოს. ამდენი დესტრუქციული ქმედების ჩამდენებს საკადრისი უნდა მიეზღოთ. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ იმდენი დაუშავა, საქართველოს, რომ არსებობს საფუძველი მისი აკრძალვისათვის.

– ამ პარტიის წევრები ხომ არსად წავლენ?

– შეიძლება სხვა სახელი დაირქვან, სხვა პარტიაში გაერთიანდნენ, მაგრამ ნაციონალური მოძრაობის საქმიანობის შეფასება და შემდგომი რეაგირება მაინც აუცილებელია. ადამიანურად როგორი თანაგრძნობაც არ უნდა არსებობდეს პატიმრის მიმართ, უნდა ითქვას, რომ სააკაშვილი სამართლიანად ზის ციხეში. შალვა ნათელაშვილზე არ მიპასუხია. შევა თუ არა ის პარლამენტში, ამას არსებით მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ეს არც ბედნიერების მომტანია და არც ტრაგედია.

– სააკაშვილის გათავისუფლების მიზნით ახალი პლატფორმა იქმნება.

– ნაციონალებსა და სააკაშვილს უნდათ არეულობა და ქაოსი, უნდათ 2003 წლის გამეორება, რეპრესიები. ამ დაჯგუფებაში მრავლადაა თანამდებობისადმი მანიაკალურად მიდრეკილი ხალხი. ზოგიერთი ადრე პროკურორი იყო, ახლა ადვოკატობა დაიწყო. დააკვირდით მათ ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, ლექსიკას. ეს ნაპროკურორალი ადვოკატები ემუქრებიან მოსამართლეებს, მათ ოჯახებს. შემდეგ ჩნდება სიუჟეტები იმაზე, რომ რომელიღაც მოსამართლეს სახლი და ავტოფარეხი აქვს. სახლი და ავტოფარეხი არაფრით არ არის გამორჩეული, მაგრამ აქედან აჟიოტაჟს ქმნიან და მოსამართლეს ხალხს აძულებენ.

– პრეზიდენტის მიერ ინიცირებული ეროვნული თანხმობა არის თუ არა კრიზისის აღიარება?

– კრიზისი არის. იქნება კრიზისი, აბა რა, როცა ნაციონალური მოძრაობა გყავს ოპოზიციაში! დიპლომატიურად სალომე ზურაბიშვილის ინიციატივა და ნაბიჯები სწორი ჟესტია. მას არ ვაკრიტიკებ. სინანულით მინდა აღვნიშნო, რომ ამას შედეგი ვერ ექნება.

– რატომ?

– ნაცმოძრაობაზე რომელი თანხმობა და შერიგება ჭრის?! არავითარი. საზოგადოების უმრავლესობას ეს თემა არ აინტერესებს, მაგრამ მინდა ყველას შევახსენო, რა მოხდა 2000 წლის 20 აპრილს. მაშინდელმა პარლამენტმა მიიღო დადგენილება. ეს იყო ნამდვილი ეროვნული თანხმობის აქტი. ამ დოკუმენტს ჰქონდა პრაქტიკული შედეგი. ნაცმოძრაობას დღეს შეურიგდები, ხვალ – წაგეჩხუბება. ამიტომ ახლანდელ ინიციატივას გაგრძელება ვერ ექნება. ამას გულის ტკივილით ვაცხადებ.

– დიდი რეზონანსი მოჰყვა სახელმწიფო დაცვის ინსპექტორის სამსახურის გაუქმების გადაწყვეტილებას. ითვლება, რომ უქმდება მაკონტროლებელი ორგანო. ამაზე რას იტყვით?

– სხვადასხვა სამსახურის მოდერნიზაცია და რეფორმირება ყოველთვის ხდება. არ ვიცი, ლონდა თოლორაიას და მის მოადგილეებს შესთავაზებენ თუ არა სხვა თანამდებობებს. სხვა თანამშრომლები, როგორც ვიცი, რჩებიან და ორ ახალ სამსახურში გადანაწილდებიან. უბედურებაა, რომ ამას თავისთვის იყენებს ნაციონალური მოძრაობა. როცა სჭირდებათ, მათთვის ლონდა თოლორაიაც ახლობელი ხდება, სალომე ზურაბიშვილი კი – „ქალბატონი პრეზიდენტი“. სულ ცოტა ხნის წინ, პრეზიდენტს გაუგონარ შეურაცხყოფას აყენებდნენ. ეს ოპოზიცია სხვა ყველაფერთან ერთად უზრდელობითაც გამოირჩევა. თვითონ არ იციან, ვინ არიან მემარცხენეები, მემარჯვენეები თუ ცენტრისტები. არაფერზე არ არიან ჩამოყალიბებული, ნგრევის გარდა.

– ახალ წელს ბევრი ჩვენი თანამოქალაქე უმძიმეს სოციალურ ყოფაში შეხვდა. ზოგს კომუნალური გადასახადების გადაუხდელობის გამო შუქი ჩაუჭრეს. ამის პარალელურად, სახელმწიფო კოლოსალურ თანხებს ხარჯავს იმაზე, რომ ხელფასებს უნაზღაურებს სამინისტროების თანამშრომლებს უქმედ გამოცხადებულ დღეებშიც (საუბარია 4 დღეზე). ეს სამართლიანია?

– რასაკვირველია, ეს არ არის სწორი. უქმე დღეები არ უნდა ანაზღაურდეს. ბევრი რამ უნდა დარეგულირდეს კანონით, კანონი კი უნდა შესრულდეს. დასაქმებულები ხშირად სრულიად დაუცველები არიან. კერძო სექტორში ნამდვილი მონათმფლობელობაა. არადა, კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ დასაქმებულს არ ჰქონდეს არანორმირებული სამუშაო დღე, ჰქონდეს ადამიანური ხელფასი, ნორმალური სამუშაო პირობები და ა.შ. საარსებო მინიმუმი დაკავშირებული უნდა იყოს ხელფასთან. ავიღოთ ავტოსამრეცხაოები. ვინმე აკონტროლებს, იქ რა ხდება?! ნაცმოძრაობაზე ვილაპარაკეთ და სოციალური ბუნტი სწორედ მას უნდა. სახელმწიფო ამის გარეშეც ვალდებულია, იზრუნოს ყველა მოქალაქეზე, უმუშევარზეც და კერძო სექტორში დასაქმებულზეც. ცნობილი ულტრალიბერალი ეკონომისტები, რომლებიც უარყოფდნენ სახელმწიფოს როლს, მივიდნენ დასკვნამდე, რომ გარკვეული რეგულაციები აუცილებელია. რეგულაციებს აწესებს სახელმწიფო. ჩვენ ამ თეზისით უნდა ვიხელმძღვანელოთ. არ შეიძლება ყველაფერი ბაზარს მივანდოთ. დასანანია, რომ ბევრი ადამიანი ვერ იხდის კომუნალურ გადასახადებს. შარშან ამაზე სუბსიდიები იყო გამოყოფილი. სახელმწიფოს მოსაგვარებელი აქვს ბევრი სოციალური საკითხი, მათ შორის, შრომითი ურთიერთობები. როდის უნდა მოიცალოს სახელმწიფომ? მთელი დრო გადატანილია ნაციონალურ მოძრაობაზე. ჯანდაცვის მთელი სისტემა გადართულია სააკაშვილზე. ყოფილი პრეზიდენტი ჯანმრთელად უნდა იყოს, მაგრამ ამას მთელი სისტემა არ სჭირდება. ყველა მას ემსახურება, ის კი მაინც უკმაყოფილოა. სააკაშვილს ჰგონია, რომ ჩვენ, ყველა, მისთვის უნდა ვარსებობდეთ.

საიდან და რა ფასად ყიდულობს საქართველო საწვავს

გასული წლის 11 თვეში (იანვარ-ნოემბერი) საქართველომ 1,153,169 ტონა საწვავის იმპორტი განახორციელა, რაც თანხებში 737,894 მლნ აშშ დოლარს შეადგენს.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა, რომელი ქვეყნებიდან და რა ფასად ყიდულობს საქართველო საწვავს.

ტოპ-10 ქვეყანა, საიდანაც გასული წლის 11 თვეში საქართველოში საწვავის იმპორტი განხორციელდა:

თურქმენეთი – 281 470 ტონა – 175,760 მლნ – 1 ლიტრის ღირებულება დაახლოებით 62 ცენტი – საშუალოდ 1,90 ლარი.

აზერბაიჯანი – 207 034 ტონა – 115 203 მლნ აშშ დოლარი – 1 ლიტრი საშუალოდ 55 ცენტი – დაახლოებით 1,70 ლარი.

რუსეთი – 206 511 ტონა – 123 438 მლნ აშშ დოლარი – 1 ლიტრი დაახლოებით 60 ცენტი – საშუალოდ, 1,84 ლარი.

რუმინეთი – 179 505 ტონა – 113 788 მლნ აშშ დოლარი – 1 ლიტრი საშუალოდ 63 ცენტი, ანუ 1,95 ლარი.

ბულგარეთი – 159 724 ტონა – 108 057 მლნ აშშ დოლარი – 1 ლიტრი დაახლოებით 68 ცენტი – საშუალოდ 2,08 ლარი.

საბერძნეთი – 37 315 ტონა – 25 530 მლნ აშშ დოლარი – 1 ლიტრი დაახლოებით 68 ცენტი – საშუალოდ 2,08 ლარი.

თურქეთი – 35 234 ტონა – 24 888 მლნ აშშ დოლარი – 1 ლიტრი საშუალოდ – 70 ცენტი, დაახლოებით – 2,17 ლარი.

იტალია – 26 014 ტონა – 18 330 მლნ აშშ დოლარი– 1 ლიტრი საშუალოდ – 70 ცენტი – დაახლოებით, 2,17 ლარი.

ირანი – 3 032 ტონა – 1 411 მლნ აშშ დოლარი – 1 ლიტრი დაახლოებით 47 ცენტი, საშუალოდ – 1,43 ლარი.

კორეა, რესპუბლიკა – 2 656 ტონა – 3 281 მლნ აშშ დოლარი – 1 ლიტრი საშუალოდ 1,23 დოლარი – ეროვნულ ვალუტაში 3,80 ლარი.

ცნობისთვის, აღნიშნულ საიმპორტო ფასს ემატება დღგ-ს და აქციზის გადასახადიც. არსებული გადასახადი ტონაზე ბენზინს – 500, ხოლო დიზელს – 400 ლარით აძვირებს. ლიტრებში თუ გადავიყვანთ, 40-50 თეთრი გამოდის.

საბაგარო საბაგიროს ნაცვლად

რატომ შეჩერდა სამგზავრო ბარათების გაცემა

საქართველოს ბანკი განცხადებას ავრცელებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ახალი სამგზავრო ბარათების გაყიდვა ბეჭდური შეცდომის გამო შეჩერდა და 10 იანვრიდან განახლდება.

კერძოდ, ბარათზე დატანილ ტექსტში სიტყვა საბაგიროს ნაცვლად ეწერა „საბაგარო“.

„საზოგადოებრივ ტრანსპორტში გადახდის სისტემის მართვას საქართველოს ბანკი უზრუნველყოფს, ვადიანი სამგზავრო აბონიმენტების დამზადებას და რეალიზაციას კი საქართველოს ბანკის შვილობილი კომპანია მს+. სამწუხაროდ, ხსენებული კომპანიის მიერ დაშვებული იყო მცირედი უზუსტობა. ბარათზე დატანილ ტექსტში კი დაშვებული იყო მექანიკური შეცდომა.

სწორედ ამის გამო, 9 იანვარს, ერთი დღით, შეჩერდა აბონემენტების გაცემა. ბოდიშს გიხდით შექმნილი დისკომფორტისთვის. უკვე ხვალიდან, 10 იანვრიდან კი განახლდება ბარათის სწორი ვერსიის გაცემა. აქვე გაცნობებთ, რომ ბარათების ახალი ვერსიის ბეჭდვას საქართველოს ბანკი უზრუნველყოფს“ – ნათქვამია განცხადებაში.

პირველი თებერვლიდან თბილისში საზოგადოებრივი ტრანსპორტის სააბონენტო სისტემა ამოქმედდება. შედეგად, ერთჯერადი, ერთი სახეობის ტრანსპორტით მგზავრობა გაძვირდება და ღირებულება 50 თეთრის ნაცვლად, 1 ლარი გახდება.

მისი გადახდა მგზავრს შეეძლება როგორც ძველებურად, საბანკო ბარათებით, ისე, ახალი სააბონენტო ბარათითაც. ავტობუსებში მგზავრობა ნაღდი ფულითაც იქნება შესაძლებელი.

ამასთან, 1-ლარიანი სააბონენტო ბარათი იქნება ულიმიტო 90 წუთის განმავლობაში და იმოქმედებს სამივე სახეობის [მეტრო, ავტობუსი,

მიკროავტობუსი] ტრანსპორტში.

სააბონენტო სისტემის ფასები იქნება:

ულიმიტო 90-წუთიანი ბარათი -1 ლარი;
ულიმიტო 1-დღიანი ბარათი – 3 ლარი;
ულიმიტო 1-კვირიანი ბარათი – 20 ლარი;
ულიმიტო 1-თვიანი – 40 ლარი;
ულიმიტო 3-თვიანი ბარათი – 100 ლარი;
ულიმიტო 6-თვიანი ბარათი – 150 ლარი;
ერთწლიანი ბარათი – 250 ლარი.

უფასოდ მგზავრობა შეეძლება თბილისში რეგისტრირებულ უსინათლო პირებს, მათ თანმხლებ და გამცილებელ პირებს, მოსწავლეებს, უბნის ინსპექტორებს, თბილისის მუნიციპალური ბაგაბაღების თანამშრომლებს, თბილისში რეგისტრირებულ ვეტერანებს.

შეღავათიან ფასებში, 20 თეთრად, იმგზავრებენ თბილისის უნივერსიტეტების სტუდენტები, პროფესიული სასწავლებლების სტუდენტები და თანამშრომლები, პენსიონერები, თბილისის პოლიკლინიკებში დასაქმებული უბნის ექიმები, პედიატრები და ოჯახის ექიმები, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომუშავე მანდატურები. ასევე, 10 თეთრად იმგზავრებენ სოციალურად დაუცველები.

კულუმბეგოვი: „ომიკრონი გვირაბის ბოლოს სინათლეა“

– ომიკრონი შეიძლება იყოს გვირაბის ბოლოს სინათლე, მაგრამ ჯერ მხოლოდ გვირაბის შესასვლელში ვართ.

ამის შესახებ იმუნოლოგი, ჯანდაცვის ექსპერტი ბიძინა კულუმბეგოვი სოციალურ ქსელში წერს.

კულუმბეგოვი მოქალაქეებს აცრისა და პირბადის გამოყენებისკენ მოუწოდებს.

„ომიკრონის ვარიანტი შეიძლება იყოს გვირაბის ბოლოს სინათლე, ხშირად ისმის მსგავსი შეფასება საქართველოშიც და საერთაშორისო მედიაშიც, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, ჯერ მხოლოდ გვირაბის შესასვლელში ვართ“ – წერს კულუმბეგოვი.

საქართველოში, ბოლო მონაცემებით, ლაბორატორიულად ომიკრონის 600 შემთხვევაა დადასტურებული.

დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, საქართველოში კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევების 10% ომიკრონის შტამია.

გამყრელიძის განცხადებით, ომიკრონის შემთხვევები მოიმატებს.

მისივე თქმით, შესაძლებელია, ადამიანში აღმოჩნდეს ორივე შტამი, ომიკრონის და დელტას ნაზავი.

– დიდი აღბათობით რაოდენობა დაემატება, იმიტომ, რომ სადაც ეჭვი მიგვაქვს, რომ ომიკრონია, საკმაოდ ბევრი გროვდება. 6 შემთხვევიდან საშუალო ასაკი არის 33 წელი, 5 წლამდე იყო 8 ბავშვი. შესაძლებელია, რომ ერთ ინფიცირებულ პიროვნებას აღმოაჩნდეს ორივე შტამის ნაზავი, როგორც ომიკრონის დამახასიათებელი გენეტიკური სტრუქტურა, ისე დელტას დამახასიათებელი გენეტიკური სტრუქტურა, მაგრამ ასეთი ნაზავი ჩვენთან ჯერ დაფიქსირებული არ არის. არავინ იცის ჯერ – იქნება უფრო რთული, თუ იქნება უფრო მსუბუქი, – განაცხადა ამირან გამყრელიძემ „ფორმულას“ ეთერში.

შეგახსენებთ, კვიპროსში დელტასა და ომიკრონის ჰიბრიდული შტამი გამოვლინდა, რომელსაც დელტაკრონი დაარქვეს.

შევიძენ
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

„პარტიები ჩვენთან კლუბურ სისტემად ჩამოყალიბდნენ“

ლევან ალაფიშვილი: „2019 წლიდან ოპოზიციურ ფლანგზე დიდი გაურკვევლობაა“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, ლეიბორისტული პარტიაც მზად არის პარლამენტში შევიდეს იმ პროტესტის მიუხედავად, რომელიც მას ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, ოპოზიცია ეგუება რეალობას და ცვლის ტაქტიკას?

– აქ ძალიან მნიშვნელოვანია კონკრეტული ხედვა და მიზანი. აქვს თუ არა ოპოზიციას ეს ხედვა და მიზანი, ჩემთვის, როგორც ერთი მოქალაქისთვის, უცნობია. ჩანს, რომ ოპოზიცია მზად არის საუკეთესო არჩევანი სუბიექტური, ვიწროპარტიული ინტერესებიდან გააკეთოს და არ ხალხის და საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

პოლიტიკური აქტორები, ბუნებრივია, ამაზე არ ისაუბრებენ, მაგრამ სამწუხაროდ, პოლიტიკური ძალები კრიზისში არიან და ისინი ყველაზე კარგად აცნობიერებენ საკუთარ სისუსტეებს. ამ მოცემულობაში მათი პოლიტიკური მომავალი ძალიან დიდი კითხვის ქვეშ დგას. საბოლოო ჯამში, ეს არის შეგუება არა „ქართული ოცნების“ გამარჯვებასთან, არამედ ეს არის აღიარება და შეგუება, რომ საქართველოში პარტიული პოლიტიკური სისტემა კრახს განიცდის. „ქართული ოცნება“ ძლიერია იმიტომ, რომ ხელისუფლებაშია. თუ, დემოკრატიაში პარტიები ძლიერები არიან და მათი სიძლიერე განაპირობებს მათ ხელისუფლებაში მოსვლას, ჩვენთან პირიქით არის. საქართველოში ყველა პარტია ცდილობს ხელისუფლებაში მოვიდეს და ასე გაძლიერდეს.

– ცხადია, სახელისუფლო რესურსი ძალას მატებს „ოცნებას“, მაგრამ ხომ არ ფიქრობთ, რომ ოპოზიცია არის სუსტი და ამ ფონზეც არის ის ძლიერი?

– რა თქმა უნდა. ეს ლოგიკურია. როდესაც შეჯიბრზე არის საუბარი, ხშირად შედეგს განაპირობებს არა მოწინააღმდეგის სიძლიერე, არამედ შენი სისუსტე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ამასთან გვაქვს საქმე. ბევრჯერ საქმე მომიგია არა ჩემი დიდი ძალისხმევით, არამედ ოპონენტის მიერ დაშვებული შეცდომით. უბრალოდ, მოწინააღმდეგემ წააგო. ასე შეგვიძლია გასული არჩევნებიც განვიხილოთ.

– თითქმის აღარ ისმის ვადამდელი არჩევნების მოთხოვნა. გამოდის, ეს მოთხოვნა დღის წესრიგიდან მოიხსნა?

– 2019 წლიდან მოყოლებული, ოპოზიციურ ფლანგზე დიდი გაურკვევლობაა. შესაბამისად, შეცდომას შეცდომაზე უშვებენ, ნაცვლად იმისა, რომ ერთი შეცდომა საკმარისი იყოს, რათა გამოასწორონ. უკვე შეცდომების სპირალში არიან შესულები და ვეღარ გამოდიან.

– ხელისუფლება?

– ხელისუფლებას თავისი ცოდვები ეყოფა. ხელისუფლებას ბევრად უფრო დიდი პასუხისმგებლობა აკისრია ქვეყნის, სახელმწიფოსა და ხალხის წინაშე. იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლება ასეთი არაპოპულარულია და ასეთ შეცდომებს უშვებს, უნდა მოახერხო, რომ მომხრეები ვერ გაზარდო. მართლაც რომ უნდა მოახერხო ამ დაღმავალი რეიტინგის მქონე ძალაუფლების ფონზე უკეთესად არ გამოიყურებოდე. ზოგ შემთხვევაში უარესადაც კი გამოიყურებოდე.

– და რა შეიძლება ამის მიზეზი იყოს?

– პარტიები ჩვენთან კლუბურ სისტემად ჩამოყალიბდა. ვიღაცების პარტიებად იქცნენ და არა ხალხის, იდეების პარტიებად, სადაც უმთავრესი არის ერთის იდეა, ერთის აზრი. ხალხს არავინ არაფერს ეკითხება. არჩევნებზე კი ამ ხალხის მხარდაჭერა უნდათ. ეს არის მიზეზი. ტიკური სისტემა კრახს განიცდის. „ქართული ოცნება“ ძლიერია იმიტომ, რომ ხელისუფლებაშია. თუ, დემოკრატიაში პარტიები ძლიერები არიან და მათი სიძლიერე განაპირობებს მათ ხელისუფლებაში მოსვლას, ჩვენთან პირიქით არის. საქართველოში ყველა პარტია ცდილობს ხელისუფლებაში მოვიდეს და ასე გაძლიერდეს.

– ცხადია, სახელისუფლო რესურსი ძალას მატებს „ოცნებას“, მაგრამ ხომ არ ფიქრობთ, რომ ოპოზიცია არის სუსტი და ამ ფონზეც არის ის ძლიერი?

– რა თქმა უნდა. ეს ლოგიკურია. როდესაც შეჯიბრზე არის საუბარი, ხშირად შედეგს განაპირობებს არა მოწინააღმდეგის სიძლიერე, არამედ შენი სისუსტე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სწორედ ამასთან გვაქვს საქმე. ბევრჯერ საქმე

ერთი მაგალითიც კი საკმარისია ამის საილუსტრაციოდ. შარლ მიშელის დოკუმენტთან დაკავშირებით ჩუმად მიიღეს პარტიებმა გადაწყვეტილება, ისე რომ, არაფერი არ ჰკითხეს საკუთარ ამომრჩეველს. ამიტომაც მიიღეს ის, რაც მიიღეს. „ქართულმა ოცნებამ“ თავზე გადაახია და შეთანხმებიდან გავიდა. ეს, იცით, ოპოზიციის როგორი მარცხი იყო?! ვერც კი გააცნობიერეს, რა მოხდა მათ თავს. როგორ ფიქრობთ, ამას აპატიებს ამომრჩეველი?! ხალხთან კომუნიკაცია რომ ჰქონოდათ და გულწრფელად აეხსნათ ყველაფერი და მერე მიეღოთ გადაწყვეტილება, მერწმუნეთ, „ქართული ოცნება“ თავის ამ გადაწყვეტილებაში ასეთი „ვაჟკაცი“ ვერ იქნებოდა. ამდენად, შეიძლებოდა დღევანდელი მოცემულობაც ცოტა სხვაგვარი ყოფილიყო.

ერთ მხარეს აღმოჩნდა ხალხი და მეორე მხარეს პოლიტიკოსები, განურჩევლად პოზიციაოპოზიციისა. პოლიტიკოსები დღეს სხვაგან არიან. ოპოზიციაც და ხელისუფლებაც დღეს ამომრჩევლის, ხალხის რესურსზე არსებობს და სანაცვლოდ მისგან არაფერს არ იღებს. ეს ძალიან მძიმედ შეიძლება დაუჯდეს ერთსაც და მეორესაც.

ოპოზიციას შეიძლება ბოლო შანსი აქვს საზოგადოებასთან სწორი კომუნიკაციის. ვგულისხმობ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებას. თუ, შეძლებენ ამ დემოკრატიისთვის უმთავრესი ინსტიტუტის გადარჩენას, მაშინ ოპოზიცია შეძლებს საკუთარი თავის გადარჩენას ამ პროცესში.

133 ჯარიმა და 32 გაფრთხილება

რა დარღვევები აქვთ თანამდებობის პირებს ქონებრივ დეკლარაციებში

133 ჯარიმა და 32 გაფრთხილება – ასეთია საჯარო სამსახურის ეროვნული ბიუროს მიერ 2021 წელს შემოწმებული საჯარო მოხელეების დეკლარაციების მონიტორინგის შედეგი.

ანგარიშის მიხედვით, 2021 წელს შემოწმებული საჯარო მოხელეებიდან ნახევარზე მეტს დეკლარაცია დარღვევებით აქვს შევსებული. ბიუროს ინფორმაციით, გასულ წელს სულ 303 თანამდებობის პირის დეკლარაცია შეისწავლეს, საიდანაც დადებითად მხოლოდ 130 შეფასდა.

2021 წლის განმავლობაში 166 უარყოფითად შეფასებული დეკლარაციიდან:

44%-ს დარღვევა ჰქონდა უძრავი ქონების ნაწილში, სადაც გამორჩენილი იყო უძრავი ქონება ან/და არასწორად იყო მითითებული უძრავი ქონების რეალური ფართი;

62%-ის შემთხვევებში არასწორად ან/და შეცდომით სხვა თარიღის მონაცემით იყო მითითებული საბანკო ანგარიშზე არსებული ნაშთი, ასევე არ იყო მითითებული მულტისავალუტო ანგარიშების შემთხვევაში სხვა ვალუტის ანგარიშები ან/და გამორჩენილი იყო ძველი საბანკო ანგარიშები;

28% დეკლარაციაში არ იყო დადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა ან არ იყო მითითებული ძველი საწარმოები, რომლებსაც ბოლო 3 წლის განმავლობაში ბრუნვა არ ჰქონიათ;

36%-ს არ ჰქონდა სწორად დაანგარიშებული ხელშეკრულებით მიღებული მატერიალური შედეგი, ან არ იყო დადეკლარირებული ხელშეკრულება, რომლის ღირებულებაც აღემატება კანონმდებლობით დადგენილ დეკლარირებისათვის სავალდებულო ზღვარს;

54%-ს დარღვევა ჰქონდა საანგარიშო პერიოდში მიღებული შემოსავლის არასწორად დადეკლარირების გამო;

76% დეკლარაციების უარყოფითად შეფასდა ოჯახის წევრების მონაცემების არასწორად მითითების გამო;

19% თანამდებობის პირების დეკლარაციების უარყოფითად შეფასება განაპირობა მათ მიერ დოკუმენტაციის კანონით დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობამ.

ზუგდიდის მერიაში ფული დაარიგეს

ზუგდიდის ახალი მოწვევის საკრებულოს წევრებს, რომლებსაც მუშაობა ჯერ კიდევ არ დაუწყიათ, საახალწლოდ უკვე ხელფასის გაორმაგებული ოდენობის პრემიები ჩაურიცხეს.

მერიის ყველა თანამშრომელმა და უწყებას დაქვემდებარებულმა პირებმა ხელფასის 70% მიიღეს, მერიის მაღალჩინოსნებმა კი 100%.

– პრემია არ არის, ეს არის ფულადი ჯილდო, დანამატი, ნებისმიერი საჯარო მოხელე, რომელიც ისევე კეთილსინდისიერად იმსახურებს და მოემსახურება საკუთარ მუნიციპალიტეტს, არასდროს მომერიდება როგორც ფულადი ჯილდო, ასევე, მადლობის გამოცხადებით გამოვხატო ეს ყველაფერი.

ასე რომ, ეს არის დამატებითი სტიმული საჯარო მოხელისთვის, რათა მან გააგრძელოს და უფრო კეთილსინდისიერად ემსახუროს თავის მუნიციპალიტეტს, – თქვა ზუგდიდის მერმა მამუკა წოწერიამ.

ხათუნა ლაგაზიძე: „აზიაში ჩინეთისა და რუსეთის კონკურენცია გამოჩნდა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

უპირატესობად, არამედ მის შესაჩერებლად უკრაინაში. როგორც ვიცით, ეს მოლაპარაკებები ეძღვნება რუსეთის მიერ წაყენებულ ულტიმატუმებს, რომლითაც ის ითხოვს, რომ ნატო აღარ გაფართოვდეს აღმოსავლეთით და პოსტსაბჭოთა ქვეყნების – უკრაინისა და საქართველოს ნატოში გაწევრიანების თაობაზე დოკუმენტურად აიღოს ხელი. ასევე უარი თქვას ნებისმიერ სამხედრო წვრთნებზე თუ შეიარაღების მიწოდებაზე ამ ქვეყნებისთვის და 1997 წლის მერე ნატოში მიღებული ქვეყნებიდან გაიტანოს შეიარაღება. ანუ დაბრუნდეს 1997 წლის სტატუს-კვო. მეორე ულტიმატუმი ამერიკას ეხებოდა, რომელმაც უნდა აიღოს ვალდებულება, რომ საკუთარ ბაზებს არ განათავსებს პოსტსაბჭოთა სივრცეში და ასევე არ გაუწევს ამ ქვეყნებს სამხედრო ტექნიკით დახმარებას.

– ამ თვალსაზრისითაც უპირატესობის მოპოვების პროცესშია რუსეთი ყაზახეთის მოვლენების გამო?

– რუსეთი, რა თქმა უნდა, ეცდება, რომ დასავლეთს აღიარებინოს მისი როლი როგორც საერთაშორისო ტერორიზმთან მებრძოლის და ამით დააკანონოს მისი ყოფნა შუა აზიაში და კიდევ უფრო მეტი მოითხოვოს – აი, ხომ ვამბობდი, რომ პოსტსაბჭოთა სივრცე ჩემს უსაფრთხოებას უქმნის საფრთხეს. ეს გამოჩნდა და ყაზახეთის არეულობამ ეს დაადასტურაო.

– თუმცა, მეორე მხრივ, დასავლეთსაც ხომ შეუძლია უთხრას, რომ აი, მე არ ვერევი აზიაში და გითმობ ადგილს, მაგრამ უკრაინას არ შეეხო და ამ მხრივ ჩემი მხრიდან კომპრომისები არ იქნებაო?

– კი, მახვილგონივრული კითხვაა. დასავლეთს შეუძლია ამით ითამაშოს. უთხრას, რომ ვაღიარებ შენ როლს იქ, მაგრამ აქეთ ეს ის სივრცეა, სადაც შენ ვერ შეუზღუდავ ქვეყნების თავისუფალ არჩევანს, უსაფრთხოების რომელი სივრცე აირჩიონ, ისევე, როგორც შენ არ გექნება უფლება განსაზღვრო, ნატოს წევრი ქვეყნები სად ჩაატარებენ სამხედრო წვრთნებს და სად რა შეიარაღებას განლაგებენო.

საკმაოდ თამამი განცხადებებით მიდის დასავლეთი მოლაპარაკებებზე, კერძოდ გაცხადდა, რომ მოლაპარაკებებზე დასავლეთი საერთოდ არ აპირებს ნატოს გაფართოება-არგაფართოების საკითხის განხილვას. როგორ ცნობილია, ნატოს თავდაცვის მინისტრების უახლოეს შეხვედრაზე საქართველოს და უკრაინის თავდაცვის მინისტრებიც კი მიიწვიეს. როგორც აცხადებენ, მოლაპარაკებებზე წამყვანი იქნება სტრატეგიული შეიარაღების კონტროლის თემაო და რუსეთის მოთხოვნების დაიგნორირების შემთხვევაში, პარალელურად, დასავლეთი ამ ფონზე რუსეთის უკრაინაში შეჭრისთვისაც ემზადება.

– ალბათ უშუალოდ საქართველოს თემაც იქნება ერთ-ერთი საკითხი უკრაინის კონტექსტში, მაგრამ იმ ფონზე, როდესაც ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკა მაქსიმალურად დისტანცირებულია დასავლეთისგან, ეს ხომ არ იქონიებს გავლენას?

– არა. საქართველოს ხელისუფლება ვერაფრით ვერ იტყვის უარს ნატოზე. ეს ჩვენი დამცავი მექანიზმია. თუკი ნატო არ იტყვის საქართველოზე უარს, ჩვენ მასზე უარს არ ვამბობთ, შესაბამისად, თეორიული პერსპექტივა რჩება. თუმცა, სიმართლე გითხრათ, უფრო იმის გამო, რომ თავად დასავლეთი ვერ ხედავს ამის პრაქტიკაში რეალიზების თუნდაც სავარაუდო ვადებს.

– თეორიული რჩება, მაგრამ რეგიონში არსებული გამოწვევების ფონზე შესაძლებლობაც ხომ ჩნდება, თუნდაც რასმუსენის რამდენიმე დღის წინ გაკეთებული განცხადებიდან რომ ამოვიდეთ, სადაც ის ბუქარესტის სამიტის სულისკვეთებაზე საუბრობდა. „ოცნება“ რომ არ გამოიყენებს ამას, გასაგებია, მაგრამ რა შეიძლება გაკეთდეს დღევანდელ რეალობაში?

– საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა, სულ მცირე, რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკაა, რომ სანამ დასავლეთი თავის პრიორიტეტებში კიდევ ერთხელ ჩამოყალიბებულა, რომ მანამდე არ ვიწვნიოთ რუსეთის აგრესია. მეორე თემაა, რა ვითარებაა საინფორმაციო ველზე. რეალურად ჰიბრიდული ომი გაასმაგებულია 2016 წლის შემდეგ, რაც ნიშნავს რუსეთის მიერ საქართველოს საინფორმაციო სივრცეზე უპირატესობის მოპოვებას, ასევე, ჩვენი მოსახლეობის განწყობებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას. სოციალური ქსელების ანალიზიც კი გვაჩვენებს რადიკალურ სხვაობას 2016 წლამდე სიტუაციასთან, რადგან აბსოლუტურად ღიად გამოხატავენ პრორუსულ განწყობებს საქართველოს მოქალაქეები და აღტაცებით საუბრობენ რუსეთის შემოსვლის გეგმაზე საქართველოში. ეს წარმოუდგენელი რამე გახლდა 2016 წლამდე, აღარაფერს ვამბობ 2012 წლამდე.

კონვენციურია ომი, როდესაც ტრადიციული შეიარაღების გამოყენებით კლასიკური სამხედრო დაპირისპირებაა. არის ასევე არაკონვენციური, ჰიბრიდული ომი, რომელიც სულ უფრო აქტიურია თანამედროვე მსოფლიოში და რომელიც სხვადასხვა საშუალებებს იყენებს, მათ შორის ფსიქოლოგიურ ომს; მოწინააღმდეგის საინფორმაციო სივრცეზე გავლენის მოპოვებას; ეკონომიკური და პოლიტიკური ელიტების მოსყიდვას და ა. შ. ყველა ეს კომპონენტი მაქსიმალურად გააქტიურებულია რუსეთის მიერ საქართველოში.

თუ ვამბობთ, რომ ბოლო წლებში საქართველო-რუსეთის ომი არ მიმდინარეობს, მე, როგორც სპეციალისტი, გეუბნებით, კონვენციური ომი არ არის ანუ ღია სამხედრო დაპირისპირება, თორემ გაგანია არაკონვენციური ომის პირობებში გვიწევს ცხოვრება, მინიმუმ, ბოლო 4 წელია.

– ამ ომში ჩვენს ხელისუფლებას კაპიტულაცია აქვს გამოცხადებული რუსეთთან?

– რეალურად ასე ჩანს, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების არგუმენტია, რომ ამით ჩვენ თავიდან ვირიდებთ კონვენციურ ომს ანუ მორიგ სამხედრო ოკუპაციასო. „ოცნების“ კარგად ცნობილი არგუმენტია, რომ პირველი ხელისუფლება ვარ, რომლის პირობებშიც არ ყოფილა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ომიო და თან საქართველოს დასავლურ მისწრაფებებზეც არ გვითქვამს უარიო. პირიქით გვეუბნებიან, რომ 2024 წელს ევროკავშირის წევრობაზე უნდა შევიტანოთ განაცხადიო. თუმცა, ამასობაში ისე შეაჩვიეს ენა დასავლეთს, რომ იმაზე არ ფიქრობენ, ასეთი „ენაგრძელი“ პარტნიორის ადგილი დასავლეთში არ არის. ყაზახეთის მოვლენების ფონზე მათი ეს არგუმენტი ძლიერდება.

რაც შეეხება თქვენ კითხვას რასმუსენის ინიციატივის თაობაზე: იქნებ შეძლოს დასავლეთმა და ეს კრიზისი, პირიქით, შესაძლებლობად აქციოს უკრაინისა და საქართველოს გაწევრიანების დაჩქარებისთვის. ობიექტურები რომ ვიყოთ, დასავლეთი ამისთვის მზად არ არის. დღეს დასავლეთის პროგრამა მაქსიმუმია, რომ უკრაინის ფართომასშტაბიან ანექსიას აარიდოს თავი.

თუმცა, შესაძლოა რუსეთი სრულმასშტაბიანი შეჭრისთვის არც ემზადებოდეს: რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ ამერიკა უკრაინაში ქიმიური პროვოკაციისთვის ემზადება და უკრაინა გეგმავს სამხედრო პროვოკაციას რუსეთ-უკრაინის საზღვართან. ეს რიტორიკა 2008 წლისას ჰგავს და „მძინარე ცხინვალის“ ანალოგია გიჩნდება. უფრო წერტილოვანი დარტყმებია მოსალოდნელი უკრაინის მიმართულებით „ქიმიური პროვოკაციის“ თავიდან ასარიდებლად. საპასუხოდ ამერიკა ჯერ არნახულ სანქციებს ჰპირდება რუსეთს, თუ ის უკრაინაში შეიჭრება, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად რა სანქციები იქნება, რაც რუსეთს ხელს ააღებინებს ამაზე.

მნიშვნელოვანია რუსეთის შიდა პოლიტიკური გამოწვევებიც – პუტინის პიროვნული რეიტინგი 30%-ს ჩამოცდა, ხოლო მმართველი პარტიის – 25%-ს. ამიტომაც სჭირდება პუტინს საკუთარი მოსახლეობისთვის სხვა ალტერნატივის შეთავაზება. დაქსაქსული დასავლეთი კი პუტინისთვის საკმარისზე მეტი საცდურია, რომ საკუთარ მოსახლეობას პურის ნაცვლად მორიგი „სანახაობა“ ანუ საგარეო ფრონტზე მორიგი გამარჯვება შესთავაზოს.

მუხროვანში ხეზე მიბმული მამაკაცის ცხედარი იპოვეს

„სხვაგან არის მოკლული და მერე აქაა მოყვანილი“

მკვლელობა თუ თვითმკვლელობა – მუხროვანის ტყეში ხეზე მიბმული მამაკაცის ცხედარი იპოვეს.

38 წლის მამაკაცს სხეულზე არაერთი დაზიანება აღენიშნება.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცი ადგილობრივი მკვიდრი არ იყო.

ბურუსით მოცულ საზარელ შემთხვევასთან დაკავშირებით ადგილობრივები ორ ვერსიაზე საუბრობენ. ნაწილი მათგანი ამბობს, რომ მამაკაცმა თავი მოიკლა, ხოლო მეორე ნაწილი მკვლელობის ვერსიას ემხრობა.

– მოუკიდებელი სიგარეტი პირში ჰქონდა. პასპორტი, ფული ჰქონდა სადღაც 250 ლარამდე. ვენები ჰქონია გაჭრილი, მაგრამ გაჭრილი რომ არის, იქ სისხლი ხომ უნდა იყოს? არ იყო, – თქვა ერთ-ერთმა ადგილობრივმა.

„პირველებს“ თვითმხილველმა უთხრა:

– დედაჩემმა დაუწყო ყვირილი, რომ „შვილო, ვინ ხარო?!“ ექიმი რომ მოვიდა, სასწრაფო, 4-5 საათის მკვდარი მაინც არისო. გიფსოკარდონებს რომ ჭრიან, ეგეთი დანა იყო ხეზე. ხელი ჰქონდა თოკში მოყოლილი, სიგარეტიც პირში დარჩენილი. ერთი ფეხი „ლატოკზე“ ედო, მაღალი ბიჭი იყო. ჯიბეები რომ უნახეს, ფული, ედო, ტელეფონი კარგი ედო, ვიღაცა უპატრონო არ იყო. თავზე ფანარიც ჰქონდა.

– ეგ მოკლულია და აქ უკვე მოყვანილი, თუ თავი მოიკლა, სისხლი რატომ არ იყო? ერთი წვეთი სისხლი არ იყო. თოკი იყო ჩამობმული, ერთი ხელი თოკზე ჰქონდა ჩამოდებული, მეორე ჯიბეში, შორიახლოდან რომ შევხედეთ, ვენები ჰქონდა გადაჭრილი. შეიძლება სადღაც დაკვეთილი იყო ეს მკვლელობა, და აქ იმის მიზნით მოიყვანეს, რომ ხალხს ენახა, მხეცს არ დაეგლიჯა, – თქვა სხვა ადგილობრივმა.

ცხედარი ექსპერტიზაზეა გადასვენებული.

შსს-მ გამოძიება სსკ-ის 115 მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

„კონცერტის ჩაშლას ცდილობდნენ“

საგარეჯოში პოლიციამ 2 პირი დააკავა

საგარეჯოში პოლიციამ სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით 2 პირი დააკავა.

შემთხვევა 7 იანვარს იმ დროს მოხდა, როდესაც საახალწლო ღონისძიების მიმდინარეობისას, რამდენიმე ახალგაზრდა ქალაქის მთავარ ქუჩაზე დამონტაჟებულ სცენაზე ასვლას ცდილობდა.

როგორც ერთ-ერთი თვითმხილველი ყვება, 5-ზე მეტი ახალგაზრდა სცენაზე ავიდა და კონცერტის ჩაშლას ცდილობდა, როდესაც პოლიციასა და მათ შორის სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურში გადაიზარდა.

– კონცერტი თითქმის სრულდებოდა, რამდენიმე ადამიანი, ალბათ 5-ზე მეტი, ცდილობდა სცენაზე ასვლას და კონცერტის ჩაშლას. მე როგორც გავიგე, პოლიციამ მოუწოდა ტერიტორიის დატოვება, თუმცა ისინი ამბობდნენ, კონცერტი რატომ გაიმართაო. შემდეგ უკვე დაპირისპირება მოხდა და ადგილზე სხვა პოლიციელებიც მოვიდნენ, – აცხადებს თვითმხილველი.

არსებული ინფორმაციით, ინციდენტის დროს დაშავდა ერთი პოლიციელი, მას დაზიანებები თავის არეში აქვს მიყენებული. ადგილობრივების ინფორმაციით, საგარეჯოელი ახალგაზრდების ჯგუფის უკმაყოფილება ავღანეთში მებრძოლი ჯარისკაცის დაკრძალვის დღეს ქალაქში საზეიმო ღონისძიების გამართვამ გამოიწვია. სწორედ ეს გახდა ახალგაზრდებსა და პოლიციელებს შორის დაპირისპირების მიზეზი.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, გამოძიება 353-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევას გულისხმობს.

„საგანგაშოა მისი ფსიქიკური მდგომარეობაც“

კანონიერი ქურდი კახა შუშანაშვილი მარსელის ციხეში აუტანელ პირობებში ზის



საფრანგეთის სასამართლოს იშვიათი გადაწყვეტილება – ამ სათაურით აქვეყნებს ვრცელ სტატიას გავლენიანი ფრანგული გამოცემა. „ლე პარიზიენი“ ქართული დანაშაულებრივი სამყაროს ერთ-ერთი ლიდერის, კახა შუშანაშვილის შესახებ წერს, რომელიც უკვე მეექვსე წელია, სასჯელს მარსელის ციხის სამარტოო საკანში იხდის.

საფრანგეთში მისმა ადვოკატებმა სასამართლო დაარწმუნეს, რომ ქართველი „კანონიერი ქურდი“ ციხეში ღირსების შემლახავ პირობებში იმყოფება. მოსამართლის გადაწყვეტილებით, შუშანაშვილის მიმართ მოპყრობა წამებასა და არაადამიანურ პირობებს უტოლდება. ფრანგი ადვოკატები სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას ითხოვენ.

– სასამართლომ ცალსახად დაადგინა, რომ კახა შუშანაშვილის დაკავების შემდგომი პირობები ეწინააღმდეგება ადამიანის ღირსებას. სამწუხაროდ, ციხის ადმინისტრაცია დღესაც აგრძელებს სასამართლოს ამ გადაწყვეტილების უგულებელყოფას.

ფიზიკური მდგომარეობის გარდა, საგანგაშოა მისი ფსიქიკური მდგომარეობაც, რომელიც 2015 წლიდან არ უმჯობესდება. ის უკვე მეშვიდე წელია სამარტოო საკანში, განსაკუთრებით მკაცრ პირობებში იმყოფება, მაშინ როცა, ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით, სამარტოო საკანში პატიმრის მოთავსება არ უნდა აღემატებოდეს ორ წელს. ასეთი რეჟიმი მოქმედებს მხოლოდ განსაკუთრებით საშიში ტერორისტების მიმართ, – აცხადებს ადვოკატი.

საფრანგეთი კახა შუშანაშვილს ნიცაში ქართველი კრიმინალური ავტორიტეტის, ვლადიმერ ჯანაშიას მკვლელობას ედავება, თუმცა მის მიმართ კიდევ სხვა არაერთი მძიმე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული ესპანეთსა და საქართველოშიც. საბერძნეთში იხდის სასჯელს მისი ძმა, ლაშა შუშანაშვილიც, რომელიც 2018 წელს ქართული მაფიის წინააღმდეგ ევროპოლის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დააპატიმრეს.

„კანონიერი ქურდის“ ქართველი ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფის საქართველოში ექსტრადირებას ითხოვს.

„კურიერთან“ საუბრისას გაგი მოსიაშვილი ამბობს, რომ საფრანგეთის სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად, კახა შუშანაშვილის ჯანმრთელობა და სიცოცხლე საფრთხის ქვეშაა. ადვოკატს ამის ერთ-ერთ არგუმენტად სამარტოო საკანში გადაღებული ფოტო მასალა მოჰყავს, სადაც ჩანს, რომ პატიმარს ქვედა კიდურებზე სამედიცინო ჩარევა ესაჭიროება.

კახა შუშანაშვილმა საფრანგეთის სასამართლოში ყველა ბრალდება უარყო და განაცხადა, რომ თავს ავტომობილების იმპორტით ირჩენდა.

თბილისში ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირება გამოავლინეს

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლებმა ხე-ტყის უკანონო ტრანსპორტირების ფაქტი გამოავლინეს.

ინფორმაციას ამის შესახებ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს.

„თბილისში შეჩერებული ავტომანქანის ძარაზე 3,5 მ3 რცხილის სახეობის საშეშე მერქანი იყო განთავსებული. მძღოლმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია. ავტომანქანა და მასზე განთავსებული საშეშე მერქანი დაილუქა. შედგა შესაბამისი აქტი“ – ნათქვამია ინფორმაციაში.

„გიორგი კუთარაშვილის სიკვდილის მიზეზი სასწრაფოს დაგვიანებაა“

რას პასუხობენ სასწრაფოში

ქართლში მომხდარი მკვლელობის შესახებ ახალი დეტალები ხდება ცნობილი. გარდაცვლილი ტყუპი ძმის, გიორგი კუთარაშვილის, ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ სასწრაფო დახმარების მანქანამ საათზე მეტი დააგვიანა, რაც 31 წლის მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი გახდა.

– იმ წუთში დავრეკე სასწრაფოში. თან ვუთხარი, რომ აჩქარებულიყვნენ, 31 წლის ბიჭია დაჭრილი-თქო, კაი ხნის მერე მოვიდა, სასწრაფომდე პოლიცია მოვიდა, – ამბობს ოჯახის წევრი.

საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი ამასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

„გვსურს, საზოგადოებას ინფორმაცია მივაწოდოთ, გორში, სოფელ ქვემო ახალსოფელში მომხდარი სამწუხარო შემთხვევის შესახებ და სრული პასუხისმგებლობით განვაცხადოთ, რომ გავრცელებული ინფორმაცია, სასწრაფოს ეკიპაჟის შემთხვევის ადგილზე დაგვიანებით მისვლასთან დაკავშირებით, სიმართლეს არ შეესაბამება.

მიმდინარე წლის 1 იანვარს, 21:18 სთ-ზე შემოვიდა გამოძახება. გორის რაიონი, სოფელი ქვემო ახალსოფელი. სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი გამოძახების ადგილზე იმყოფებოდა 21:40 სთ-ზე. ხოლო 22:00 სთ-ზე პაციენტი კლინიკა „გორმედში“ იქნა შეყვანილი“.

შემთხვევა შიდა ქართლში, ახალსოფელში 1 იანვარს მოხდა. 31 წლის ვანო კუთარაშვილმა საკუთარ ტყუპისცალს, გიორგი კუთარაშვილს, სამზარეულოს დანით 10-მდე ჭრილობა მიაყენა.

დაპირისპირება დედმამიშვილებს შორის სუფრაზე დაიწყო.

დანაშაულში ბრალდებული ძმა დაკავებულია და მას დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

ბათუმში მძაფრი სუნის გავრცელებაზე გამოძიება დაიწყო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბათუმში, მძაფრი სუნის გავრცელების ფაქტზე საქმის წარმოება რამდენიმე მიმართულებით დაიწყეს.

აღნიშნულ ინფორმაციას გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი ავრცელებს.

„შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს თანამშრომლების მიერ, ზღვის დაბინძურების ფაქტი არ გამოვლინდა. აჭარისა და გურიის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორების მიერ, ბათუმის პორტის უნაპირო ნავმისადგომზე, ნედლი ნავთობით გემის დატვირთვის ფაქტზე შესწავლა დაწყებულია“ – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

სოციალურ ქსელში 8 იანვარს მოქალაქეები ავრცელებდნენ ინფორმაციას, რომ ბათუმში გაზის მძაფრი სუნია და ამის გამო თავის ტკივილი აწუხებთ.

ავარიის შედეგ დაშავებული მაგდა ხარაიშვილი გარდაიცვალა

ლაგოდეხში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული 25 წლის მაგდა ხარაიშვილი გარდაიცვალა.

გოგონას ქართულ-ჰოლანდიურ ჰოსპიტალში თითქმის ორი კვირის განმავლობაში მკურნალობდნენ.

ექიმებმა მას რამდენიმე ოპერაცია ჩაუტარეს, თუმცა ბოლო რამდენიმე დღეში ახალგაზრდა ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ავტოსაგზაო შემთხვევა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომასთან 2021 წლის 28 დეკემბერს მოხდა.

შემთხვევის შედეგად, მაგდა ხარაიშვილმა თავის არეში მძიმე დაზიანებები მიიღო.

გამოძიება მომხდარ ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მიმდინარეობს.

„რა ეშველება მის 3 ობოლს“

ჩოხატაურში მამაკაცი ხიდან ჩამოვარდა და დაიღუპა

უბედური შემთხვევა მოხდა ჩოხატაურში – „გურია ნიუსის“ ინფორმაციით, 45 წლამდე მამაკაცი, რომელიც ე.წ. „დრუჟბით“, კერძო სამუშაოს ასრულებდა, ხიდან ჩამოვარდა.

შემთხვევა 6 იანვარს მოხდა. მამაკაცი საავადმყოფოში 7 იანვარს გარდაიცვალა. ექიმის ინფორმაციით, საავადმყოფოში შეყვანისას მდგომარეობა მძიმე იყო, აღენიშნებოდა ტრავმული შოკი, მენჯის მოტეხილობა, თირკმლის დაჟეჟილობა და ქალა-ტვინის ტრავმა.

მამაკაცი კატასტროფის ცენტრის ავტომანქანით ქუთაისში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა და ის დღეს გარდაიცვალა.

– რა ეშველება ახლა მის სამ ობოლს. დღე და ღამე მუშაობდა, რომ ოჯახი ერჩინა. საცოდაობაა. თვითონაც ობლად, უდედოდ გაიზარდა. რა ბედი ჰქონიათ. უბედური მამამისი, რა გააძლებინებს, – უთხრა „გურია ნიუსს“ ოჯახის ახლობელმა.

სტამბოლი-ბათუმის ბორტი ბათუმის აეროპორტში ვერ დაჯდა

8 იანვარს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში ქარის გამო თვითმფრინავი ვერ დაეშვა. ბათუმი-სტამბოლის რეისმა ქალაქს რამდენიმე წრე დაარტყა, თუმცა დაფრენა ვერ შეძლო.

– საგანგაშო არაფერია, თვითმფრინავი ამ წუთებში [12:30 სთ] ცდილობს დაფრენას, – უთხრეს „ბათუმელებს“ ბათუმის საერთაშორისო აეროპორტში.

მანამდე, 12:00 საათზე, აეროპორტში უპრობლემოდ დაჯდა კიევი-ბათუმის თვითმფრინავი.

საბოლოოდ, აღნიშნული რეისი ტრაბზონის აეროპორტში დაეშვა.

ზუგდიდში მანქანა ლოდებს შეეჯახა და ამოტრიალდა

4 ადამიანი დაშავდა

ზუგდიდის რაიონის სოფელ დარჩელში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 4 პირი დაშავდა.

მათ შორის სამის ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა. ერთ მათგანს სამედიცინო კვლევა და საშუალო სირთულის ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა თავის ქალის ტრავმის გამო ექიმები დამაიმედებელ პროგნოზებს ვერ აკეთებენ.

ავარია 8 იანვარს დაახლოებით ღამის 3 საათზე მოხდა. სწრაფად მიმავალი მანქანა ეზოსთან დაყრილ ლოდებს შეეჯახა და ამოტრიალდა.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სასწრაფო დახმარების და სამართალდამცველთა ეკიპაჟები.

ჩოხატაურში იოსკა მარკოიძის სახლი მთლიანად დაიწვა

„ბიჭი საცვლის ამარა დარჩა“

7 იანვარს ხანძარი იყო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ შუაფარცხმაში. იოსკა მარკოიძის სამსართულიანი სახლი მთლიანად განადგურდა.

– ბიჭი საცვლის ამარა დარჩა. ჯერ კიდევ ეძინა, ცეცხლი რომ გაჩნდა. ოჯახის უფროსმა შენიშნა კვამლი და მაშინვე სამაშველოში დავრეკეთ, მაგრამ მაინც ვერაფრის გადარჩენა ვერ შეძლეს. ყველა იცნობს ამ შრომისმოყვარე ოჯახს. წლებია, გულთბილად ემსახურებიან ჩოხატაურელებს. თინა მარკოიძის ხილბოსტნეულის მაღაზია და მისი გულთბილი მასპინძლები ყველა ჩოხატაურელმა იცის. ასე არ უნდა დამართოდათ, ასე არ უნდა განადგურებოდათ მთელი ცხოვრების ნაშრომი. საიდან დაიწყეს, რომ იცოდეთ, –უთხრა „გურია ნიუსს“ მარკოიძეების მეზობელმა.

ადგილზე იმყოფებოდა ჩოხატაურის მერი, დავით შარაშიძე, რომლის თქმითაც, მერია ყველანაირად შეუწყობს ხელს და დაეხმარება დაზარალებულ ოჯახს.

ადგილზე მობილიზებული იყვნენ სახანძრო-სამაშველო, პოლიციისა და სასწრაფო დახმარების ეკიპაჟები.

ყაზახეთის უშიშროების ყოფილი შეფი კარიმ მასიმოვი დააკავეს

სულ ქვეყანაში 6.000 ადამიანია დაკავებული

ყაზახეთის ეროვნული უშიშროების კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი კარიმ მასიმოვი სახელმწიფო ღალატის ბრალდებით დააკავეს. ინფორმაციას ამის შესახებ უწყების პრესსამსახური ავრცელებს.

ეროვნული უშიშროების კომიტეტმა სახელმწიფო ღალატის ფაქტზე წინასწარი მოკვლევა 6 იანვარს დაიწყო. ის რამდენიმე სხვა ოფიციალურ პირთან ერთად დააკავეს, თუმცა მათ შესახებ დამატებითი დეტალები და ვინაობა ცნობილი არაა.

– 6 იანვარს სახელმწიფო ღალატის ბრალდებით დავაკავეთ ყოფილი თავმჯდომარე კარიმ მასიმოვი და სხვა პირები. დამატებითი ინფორმაცია გამოძიების ინტერესების გათვალისწინებით ჯერჯერობით არ გავრცელდება, – აცხადებენ უწყებაში.

ყაზახეთის მასშტაბით 5.969 ადამიანია დაკავებული.

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი 134 ადამიანი დროებითი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს.

შსს-ს ცნობით, დაიღუპა 16, დაშავდა 1.3 ათასზე მეტი პოლიციელი, ეროვნული გვარდიის წევრი და სამხედრო მოსამსახურე.

არეულობებთან დაკავშირებით აღძრულია 125 სისხლის სამართლის საქმე, მათ შორის ძალადობის, მკვლელობისა და ყაჩაღობის ფაქტებზე.

400-ზე მეტი მანქანა დაზიანდა და განადგურდა, მათგან 346 პოლიციის მანქანაა. გაძარცულია 100-ზე მეტი დიდი სავაჭრო ობიექტი და ბანკი. წინასწარი ზარალი დაახლოებით 212 მილიონი დოლარია.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ ყაზახეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ყაზახეთი დატოვა, მაგრამ 8 იანვარს მისმა პრეს მდივანმა ეს ცნობა უარყო.

აიდოს უკიბაიმ განაცხადა, რომ ნაზარბაევი დედაქალაქ ნურ სულთანშია და ყაზახეთის პრეზიდენტ თოყაევთან პირდაპირი კავშირი აქვს.

ყაზახეთში ყველა რეგიონში ვითარება დასტაბილურდა, დამყარებულია კონტროლი ოპერატიულ ვითარებაზე, სამართალდამცავმა ორგანოებმა გაათავისუფლეს ყველა ჩამორთმეული ადმინისტრაციული შენობა

ამის შესახებ ყაზახეთის პრეზიდენტ ყასიმ-ჟომართ თოყაევის ოფიციალურ ვებგვერდზეა ნათქვამი.

„სახელმწიფოს მეთაურს ეცნობა, რომ სამართალდამცავი ორგანოები და შეიარაღებული ძალები იღებენ ზომებს ქვეყანაში წესრიგისა და კანონის აღსადგენად, მიმდინარეობს ოპერატიული ღონისძიებები ტერორისტების აღმოსაჩენად და დასაკავებლად, მტკიცებულებათა ბაზის შესაგროვებლად, ასევე დოკუმენტაციისა და შესაბამისი ექსპერტიზის ჩასატარებლად“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

რაზე ისაუბრებენ აშშ და რუსეთი?

10 იანვარს აშშ-რუსეთის მოლაპარაკებები იწყება. ბაიდენის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა ტელეარხ ნბს-ს მისცა ინტერვიუ, რომელშიც საუბარია იმაზე, თუ როგორ წარიმართება რუსეთ-აშშ-ის მოლაპარაკებები.

აშშ-ს უკვე არ აკმაყოფილებს უკრაინის საზღვრიდან რუსული არმიის გაყვანა. ახლა საუბარია კალინინგრადიდან რუსული „ისლანდერების“ გატანაზე.

სანაცვლოდ ბაიდენის ადმინისტრაცია თანახმაა, განიხილოს აღმოსავლეთ ევროპაში (პოლონეთი, ბალტიისპირეთი) აშშ-ის ჯარის შემცირების საკითხი.

პარალელურად შემცირდება აშშ-ს და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ჯარების სწავლებებიც.

ჩინეთში 7-ბალიანი მიწისძვრა მოხდა

ჩინეთის დასავლეთ ნაწილში ძლიერი მიწისძვრა მოხდა.

სიმძლავრემ თითქმის 7 ბალს მიაღწია.

დაშავდა 4 ადამიანი. დაზიანდა შენობები და გვირაბები, რის გამოც სარკინიგზო ხაზის ზოგიერთი მონაკვეთი დაიხურა და მიმოსვლა შეწყდა.

სტიქიის ეპიცენტრში ასობით მაშველი მოსამსახურე გაიგზავნა.

ბრაზილიაში კლდის ჩამონგრევას 7 ადამიანი ემსხვერპლა



ბრაზილიაში, ტბაზე კლდის ნაწილის ჩამოვარდნის შედეგად ნავებზე მყოფი სულ მცირე 7 ადამიანი დაიღუპა.

მედიის ინფორმაციით, კიდევ 3 ადამიანი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება, დაშავდა 32 პირი, მათგან 9 კლინიკაშია მოთავსებული.

ნგრევა ადგილობრივი დროით 11:00 საათზე მოხდა. ინტერნეტში ვიდეო გავრცელდა, სადაც ჩანს მომენტი, როდესაც კლდე იშლება.

როგორც მედია წერს, მინას გერაისის შტატში რამდენიმე დღეა წვიმს, რამაც კლდეები უფრო მგრძნობიარე გახადა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამუკელაშვილი დროს იყენებს

ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში მორიგი მატჩები გაიმართა. ითამაშა ორივე ქართველის გუნდმა, მაგრამ მოედანზე მხოლოდ ერთი მათგანი გამოჩნდა.

სანდრო მამუკელაშვილის მილოუკი ბაქსი შარლოტ ჰორნეტს ეწვია და 106:114 დამარცხდა.

იანის ატეტეკუმბოს დაბრუნების შემდეგ ჩვენებურის სათამაშო დრომ ოდნავ მოიკლო და მას ამჯერად პარკეტზე 12 წუთი დაეთმო. მამუკელაშვილმა ამ დროში 5 ქულა, 3 მოხსნა და 2 პასი მოასწრო. სანდრომ 3-დან 2 ორქულიანი და 1 საჯარიმო ჩააგდო, 1 სამქულიანი კი აუცდა. შესანიშნავი იყო ატეტეკუმბო – 43 ქულა, 12 მოხსნა, მაგრამ მეტოქის დასამარცხებლად ეს საკმარისი არ გამოდგა.

მილუოკის 26 გამარჯვება და 16 მარცხი დაუგროვდა. შედეგად, აღმოსავლეთ კონფერენციაში მე-4 ადგილზეა. მომდევნო მატჩს 11 იანვარს ისევ შარლოტთან გამართავს და ისევ – სტუმრად.

გოგა ბითაძის ინდიანა კი შინ დაუხვდა იუტა ჯაზს და 125:113 მოუგო. ჩვენებურს არ უთამაშია – ბითაძე პოსტკოვიდურ რეაბილიტაციას გადის.

ინდიანას 15 მოგება და 25 მარცხი აქვს და მე-13 ადგილზეა. მომდევნო მატჩს კი, ასევე 11 იანვარს და ასევე სტუმრად, ბოსტონთან გამართავს.

ატპ-ს თასი კანადამ მოიგო

სიდნეიში დასრულდა ატპ თასი, რომლის გამარჯვებულიც კანადის ნაკრები გახდა. ჩრდილო ამერიკელებმა ფინალში ესპანელებს სძლიეს.

ჯერ დენის შაპოვალოვი და პაბლო კარენო ბუსტა გავიდნენ კორტზე – 22 წლის კანადელმა 6:4, 6:3 იმარჯვა.

გაცილებით რთული ბრძოლა გადაიტანა 21 წლის ოჟე ალიასიმ, რომლის მეტოქე ბაუტისტა აგუტი იყო. 7:6, 6:3 – ასე იმარჯვა კანადელმა და საკუთარ ნაკრებს პირველად ისტორიაში ატპ-ს თასზე გაამარჯვებინა.

ამრიგად, კანადამ წყვილთა შეხვედრამდე გაიფორმა ჩემპიონობა. შედეგად, მატჩს აზრი დაეკარგა და აღარც გამართულა.

არადა, პირველ წრეში ჩემპიონები ამერიკასთან 0:3 განადგურდნენ, შემდეგ კი, ერთმანეთის მიყოლებით დიდი ბრიტანეთი, გერმანია, რუსეთი და ესპანეთი დაამარცხეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ცხოველებზე ზრუნვა

რომის პაპმა შინაური ცხოველების მოყვარულები ეგოიზმში დაადანაშაულა

შინაური ცხოველების მოყვარულები რომის პაპის ფრანცისკის მიერ განკიცხულთა რიცხვში მოყვნენ, როდესაც მორწმუნეებთან შეხვედრაზე, ბევრ ადამიანს ეგოიზმში დასდო ბრალი იმის გამო, რომ ისინი ცხოველებზე მზრუნველობის მომიზეზებით ოჯახის შექმნასა და ბავშვების ყოლაზე უარს ამბობენ.

მისი თქმით, ბავშვების ცხოველებით ჩანაცვლება „ადამიანურობას გვაკარგვინებს“. რომის პაპი დარწმუნებულია, რომ ამგვარად ადამიანები უარს ამბობენ დედობრივ და მამობრივ ფასეულობებზე, რაც საბოლოოდ ცივილიზაციის ჭკნობას გამოიწვევს.

– დღეს ჩვენ ეგოიზმის ასეთ ფორმას ვხვდებით. ჩვენ ვხედავთ, რომ ზოგიერთ ადამიანს არ სურს ბავშვის ყოლა. ზოგჯერ ჰყავთ ერთი და მორჩა, ამ დროს კი მათ ჰყავთ ძაღლები და კატები, რომლებიც ბავშვებს ცვლიან. ეს შესაძლოა სასაცილოდ ჩანდეს, მაგრამ ეს რეალობაა, – განაცხადა რომის პაპმა.

იმ წყვილებს, რომლებსაც ბიოლოგიური მიზეზების გამო არ შეუძლიათ იყოლიონ ბავშვები, ბავშვის შვილად აყვანის რეკომენდაციას აძლევს. პონტიფიკმა მათ მოუწოდა, არ შეუშინდნენ მშობლის ტვირთის ტარებას და აღნიშნა, რომ ბავშვის დაბადებას ყოველთვის თან ახლავს გარკვეული რისკი, მაგრამ კიდევ უფრო დიდი რისკი მისი არყოლაა.

ქალმა შვილი კოვიდ-19-ზე ტესტის ჩასაბარებლად მანქანის საბარგულით მიიყვანა

აშშ-ის მკვიდრ ქალს ბავშვის სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ბრალდება მას შემდეგ წაუყენეს, როდესაც მან შვილი კოვიდ-19-ის განმეორებით ტესტირებაზე საკუთარი მანქანის საბარგულით მიიყვანა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქალმა შვილი კორონავირუსზე ტესტირების პუნქტში 3 იანვარს მიიყვანა. ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის საოლქო განყოფილების დირექტორმა ბევინ გორდონმა, რომელიც იმ დღეს ტესტირებაზე რიგში მდგომი მძღოლების გამოკითხვას აწარმოებდა, საიპრესს-ფერბენკსის ოლქის პოლიციის წარმომადგენელს განუცხადა, რომ ერთმა ქალმა შვილი ტესტირებაზე მანქანის საბარგულით მიიყვანა.

დირექტორი ამტკიცებს, რომ 42 წლის სარა ბიმმა საუბრის დროს განაცხადა, რომ მას სურდა შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეემოწმებინა, რომელიც იმ დროს ავტომობილის საბარგულში იმყოფებოდა. მისი თქმით, თითქოსდა ადრე მის შვილს ვირუსი დაუდგინდა, ასე რომ, ის შეეცადა მგზავრობის დროს იზოლირებულ მდგომარეობაში ჰყოლოდა.

გორდონმა ქალს მანქანის საბარგულის გახსნა მოსთხოვა და დარწმუნდა, რომ ბიჭი მართლაც საბარგულში იმყოფებოდა. მან ბავშვის დედას განუცხადა, რომ ტესტირება მას შემდეგ ჩაუტარდებოდა, როდესაც ბიჭი საბარგულიდან ავტომობილის უკანა სავარძელზე გადაინაცვლებდა. ამის შემდეგ მან პოლიციაში დარეკა, ხოლო ის მომენტი, როდესაც ბიჭმა ავტომობილის საბარგულიდან მანქანის უკანა სავარძელზე გადაინაცვლა, სათვალთვალო ვიდეო კამერამ დააფიქსირა.

ადგილზე მისულმა პოლიციელებმა გამოძიება ჩაატარეს და ქალის დაპატიმრების ორდერი გასცეს. აღმოჩნდა, რომ ბიჭის დედა მასწავლებლად მუშაობს. ქალს ბრალად წაუყენეს ისეთი სიტუაციის შექმნა, რომელშიც ბავშვის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა. ქალი სამსახურიდან ადმინისტრაციულ შვებულებაში გაუშვეს, რაც აშშ-ში სამსახურიდან განთავისუფლების წინამორბედია.

ესპანეთში შინაური ცხოველების უფლებები ბავშვების უფლებებს გაუთანაბრეს

ესპანეთში ძალაში შევიდა კანონი, რომლის თანახმადაც ქვეყანაში შინაური ცხოველები აღიარებული არიან სულიერ და გონიერ არსებებად და არა უბრალოდ ნივთებად, რომელთაც ადამიანი ფლობს.

ამიერიდან, განქორწინების პროცესის დროს მოსამართლემ შინაური ცხოველების ინტერესებიც უნდა გაითვალისწინოს და განსაზღვროს, თუ რომელ პატრონთან უფრო უკეთ იგრძნობს თავს.

– ცხოველი ოჯახის ნაწილს წარმოადგენს და როდესაც ოჯახი დაშლას გადაწყვეტს, ცხოველის შემდგომი ბედის განსაზღვრასაც ისეთივე სერიოზული ყურადღება სჭირდება, როგორიც სჭირდება ოჯახის სხვა წევრებს, – განაცხადა ადვოკატმა ლოლა გარსიამ.

მისი თქმით, ასეთი პრაქტიკა დაეხმარებათ უპატრონოდ მიტოვებული ცხოველების რაოდენობის შემცირებაში.

ჯანდაცვა

ქალი ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან გამორთვას ვიაგრამ გადაარჩინა

დიდ ბრიტანეთში მოხდა შემთხვევა, რომელიც უკვე „შობის სასწაულად“ მონათლეს. კოვიდ-19-ით დაავადებული მედდა 45 დღე ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატზე იყო შეერთებული, მის გამორთვამდე 72 საათით ადრე, გადაწყდა მისთვის დიდი დოზა ვიაგრა მიეცათ, რამაც საბოლოოდ ქალი გადაარჩინა, ის კომიდან გამოვიდა, გონს მოვიდა და გამოჯანმრთელება დაიწყო.

ასთმით დაავადებული ქალი ორი დოზით იყო აცრილი, თუმცა ამის მიუხედავად, ოქტომბერში მას კორონავირუსის ინფექციაზე დადებითი შედეგი მიუვიდა. მან დაკარგა ყნოსვის და გემოს შეგრძნება და სისხლს ახველებდა. ექიმისთვის მიმართვამ შედეგი ვერ გამოიღო, მას უბრალოდ რეცეპტით წამალი გამოუწერეს.

სახლში მყოფმა ქალმა თავი ცუდად იგრძნო და სუნთქვა გაუჭირდა. ამის გამო ის საავადმყოფოში მოათავსეს და ხელოვნურ კომაში შეიყვანეს. ექიმები დიდი ხნის განმავლობაში იბრძოდნენ მისი მდგომარეობიდან გამოსაყვანად, მაგრამ მას არაფერი შველოდა. მაშინ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ პორტუგალიაში მცხოვრები მისი მშობლები ჩამოეყვანათ, რათა ისინი თავიანთ ქალიშვილს დამშვიდობებოდნენ და ამის შემდეგ ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან გაეთიშათ. ამ ყოველივეს გაკეთებამდე მცირე ხნით ადრე, ექიმებმა უჩვეულო ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტეს და ქალს ვიაგრას დიდი დოზა შეუყვანეს ორგანიზმში.

რამდენიმე დღის განმავლობაში ქალის მდგომარეობამ გაუმჯობესება დაიწყო. ქალმა დამოუკიდებლად დაიწყო სუნთქვა, ხოლო ჟანგბადის დონე, რომელიც მას სჭირდებოდა, ორმაგად შემცირდა. თავად მომავალი ექიმი დარწმუნებულია, რომ მას სწორედ ვიაგრა დაეხმარა, რომელმაც მისი სასუნთქი გზები გახსნა და ფილტვებს ამუშავებაში დაეხმარა.

გოგონამ 20 წლის წინ გარდაცვლილი ნათესავების საშობაო საჩუქრები იპოვა

ამერიკელი ბლოგერი ჰოლი ბრუკი ტიკტოკში საკუთარ გვერდზე მოყვა იმის თაობაზე, რომ სახლის სხვენში იპოვა საშობაო საჩუქრები, რომლებიც მისმა ნათესავებმა 20 წელზე მეტი ხნის წინ მოამზადეს, მაგრამ იმის გამო, რომ დაიღუპნენ, მათი გადაცემა ვეღარ შეძლეს.

საშობაო საჩუქრები მისთვის, მისი უმცროსი დის, ასევე მამისთვის ბებიამ და მისმა ნათესავებმა მოამზადეს. მათ შორის ყველაზე ძველი 20 წელზე მეტი ხნისაა. საჩუქრები სახლის სხვენში გოგონას ძმამ ნახა. აწ გარდაცვლილი ნათესავები მათთვის სხვადასხვა საჩუქრებთან ერთად კონვერტების გადაცემასაც აპირებდნენ, რომლებშიც გარკვეული თანხა იდო.

ბრუკის ბებია 2015 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა, ხოლო მისი მშობლები, ანუ გოგონას დიდმა ბებიამ და ბაბუამ ჯერ კიდევ 2002 წელს დატოვეს ეს ქვეყანა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე მისვლით. კეთდება მხოლოდ იტალიური და იაპონური მოსახსნელი კბილის პროთეზები. გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

ორნაირი საქართველო – ექსპერტებმა ასე შეგვაფასეს

2022 წელი ევროპული კალათბურთის წელია. კორონავირუსმა გასულ წელს ჩასატარებელი ევროპირველობა გადადო და ის წელს სექტემბერში გაიმართება. ერთ-ერთი თანამასპინძელი საქართველოა, ამიტომ ჩვენც სულმოუთქმელად ველოდებით.

ფიბას ვებგვერდზე გამოქვეყნდა სტატია – რას უნდა ველოდეთ ევრობასკეტ 2022-ზე, სადაც 3 ექსპერტი – ფიბას მიმომხილველი ჯეფ ტეილორი, ხორვატი ჟურნალისტი იგორ ჩურკოვიჩი და „ჰუფსფიქსის“ ჟურნალისტი ბრედლი გეინსი საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამენ და პროგნოზებს აკეთებენ.

ფავორიტები

აქ სამივე ექსპერტი ერთსულოვანი გამოდგა და ჩემპიონობას საფრანგეთის ნაკრებს უწინასწარმეტყველებენ. ტეილორს მეორე ადგილზე სლოვენია გაჰყავს, მესამეზე – ესპანეთი. სლოვენიელები მეორე ადგილზე გეინსმაც გაიყვანა, მისთვის კი, მესამე სერბეთი იქნება. რაც შეეხება ჩურკიჩს, მან მეორე ადგილი ლიეტუვას მიანიჭა, მესამე – სერბეთს.

საუკეთესო მოთამაშე

ტეილორი მიიჩნევს, რომ რადგან საფრანგეთი ევროპირველობას მოიგებს, მვპ-ის ტიტული მათ ლიდერ რუდი გობერს დარჩება.

ჩურკოვიჩის აზრით, ლიეტუვა ძალიან წინ წავა, ხოლო საუკეთესო იონას ვალანჩუნასი გახდება.

ბრედლი გეინსის აზრით, საუკეთესო სლოვენიელი ლუკა დონჩიჩი გახდება.

გუნდი სიუჰპრიზი

ჯეფ ტეილორი:

– ბოსნია საკმაოდ სიმპათიური გუნდია და ვფიქრობ, ბევრი ძლიერი გუნდისთვის თავსატეხი გახდება. ბოსნიელებს ვედრან ბოსნიჩის სახით ძალიან ძლიერი მწვრთნელი ჰყავს.

იგორ ჩურკოვიჩი:

– გერმანიამ და იტალიამ ოლიმპიადაზე მეოთხედფინალს მიაღწიეს. მათ გუნდ-სიურპრიზებს ნამდვილად ვერ დავარქმევთ. არც ჩეხეთი მიმაჩნია ასეთად. ვფიქრობ, ამ ჩემპიონატზე გუნდი-სიურპრიზი საქართველოს ნაკრები იქნება. ყველაფერს ისიც ემატება, რომ ქართველები შინ თამაშობენ. ასე რომ, საინტერესო სანახაობა გველის.

ბრედლი გეინსი:

– თურქეთის ნაკრებს შეუძლია ბევრი სიურპრიზის შეთავაზება. შეინ ლარკინისა და ალფერენ სენგუნის გუნდთან იოლი გასეირნება არავის ექნება.

ჰომეი ჯალათბუჰთელი გაიბიჩყინებს

ჯეფ ტეილორმა პოლონეთის ნაკრების ლიდერი ჯერემი სოჩანი დაასახელა; იგორ ჩურკოვიჩმა – იტალიელი ნიკო მანიონი, ხოლო ბრედლი გეინსმა – ისრაელი დენი ავდია.

იმედგაცრუება

ჯეფ ტეილორი:

– ევრობასკეტზე იმედი შეიძლება ყველას გაუცრუვდეს. მე, პირველ რიგში, საქართველოს დავასახელებდი. მსოფლიოს რეიტინგში ეს გუნდი 38-ე ადგილზეა, ევროპაში – მე-18. მასზე წინ ბევრი ნაკრებია. საქართველო შინ თამაშობს და გულშემატკივრის ფაქტორი მათ სასარგებლოდ იმუშავებს, მაგრამ ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ეს ფაქტორი ამ გუნდს დამატებით წნეხად ექცეს. ბოდიში, საქართველო, ასეთი პროგნოზისთვის! გულახდილად გეტყვით, ძალიან მინდა ეს გუნდი შემდეგ ეტაპზე ვიხილო.



იგორ ჩურკოვიჩი:

– ვფიქრობ, იმედები გერმანიის ნაკრებს გაუცრუვდება. მის ჯგუფში ხომ საფრანგეთი, სლოვენია და ლიეტუვაა. ამ ჯგუფის მეოთხეადგილოსანს მერვედფინალში ესპანეთი შეხვდება.

ბრედლი გეინსი:

– ალბათ ლიეტუვა. ბალტიისპირელები ურთულეს ჯგუფში არიან და მომდევნო ეტაპზე გასვლა ძალიან გაუჭირდებათ.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

8 იანვარი

ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა

ლევერკუზენი-უნიონი	2:2
ფიურტი-შტუტგარტი	0:0
ლაიფციგი-მაინცი	4:1
ფრაიბურგი-არმინია	2:2
ჰოფენჰაიმი-აუგსბურგი	3:1
აინტრახტი-დორტმუნდი	2:3

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	18	14	1	3	57-18	43
2.დორტმუნდი	18	12	1	5	44-28	37
3.ჰოფენჰაიმი	18	9	4	5	38-27	31
4.ფრაიბურგი	18	8	6	4	30-18	30
5.ლევერკუზენი	18	8	5	5	42-30	29
6.უნიონი	18	7	7	4	25-23	28
7.აინტრახტი	18	7	6	5	29-27	27
8.ლაიფციგი	18	7	4	7	34-23	25
9.კიოლნი	17	6	7	4	27-27	25
10.მაინცი	18	7	3	8	26-21	24
11.გლადბახი	18	6	4	8	24-33	22
12.ჰერტა	17	6	3	8	20-35	21
13.ბოხუმი	17	6	2	9	16-26	20
14.ვოლფსბურგი	17	6	2	9	17-29	20
15.შტუტგარტი	18	4	6	8	22-31	18
16.აუგსბურგი	18	4	6	8	18-29	18
17.არმინია	18	3	8	7	16-24	17
18.ფიურტი	18	1	3	14	13-49	6

ესპანეთი. ჰიმეჩა დივიზიონი

ლევანტე-მალიორკა	2:0
სოსიედადი-სელტა	1:0
გრანადა-ბარსელონა	1:1
რეალი-ვალენსია	4:1

სატურნირო ცხრილი:

1.რეალი	21	15	4	2	45-18	49
2.სევილია	19	12	5	2	30-13	41
3.ბეტისი	19	10	3	6	32-23	33
4.სოსიედადი	20	9	6	5	22-21	33
5.ატლეტიკო	19	9	5	5	31-22	32
6.ბარსელონა	20	8	8	4	31-23	32
7.რაიო	19	9	3	7	26-20	30
8.ვილიარეალი	19	7	7	5	31-20	28
9.ვალენსია	20	7	7	6	32-32	28
10.ბილბაო	20	6	9	5	20-17	27
11.ესპანიოლი	19	7	5	7	22-22	26
12.გრანადა	20	5	9	6	24-27	24
13.სელტა	20	6	5	9	22-23	23
14.ოსასუნა	19	5	7	7	18-25	22
15.მალიორკა	20	4	8	8	17-30	20
16.ხეტაფე	19	4	6	9	13-20	18
17.ელჩე	19	3	7	9	18-27	16
18.ალავესი	19	4	4	11	16-30	16
19.კადისი	19	2	8	9	15-32	14
20.ლევანტე	20	1	8	11	21-41	11

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

იბიცა-ალკორკონი	6:2
კარტახენა-უესკა	0:3
ვალიადოლიდი-ბურგოსი	1:0
ლეგანესი-სოსიედადი ბ	1:1

საფრანგეთი. ლიგა 1

ლანსი-რენი	1:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	19	14	4	1	39-17	46
2.მარსელი	19	10	6	3	27-15	36
3.ნიცა	19	10	4	5	29-17	33
4.რენი	20	9	4	7	34-19	31
5.მონპელიე	19	9	4	6	33-24	31
6.ლანსი	20	8	6	6	34-28	30
7.მონაკო	19	8	5	6	29-23	29
8.ნანტი	19	8	4	7	25-23	28
9.ლილი	19	7	7	5	26-26	28
10.სტრასბური	18	7	5	6	34-24	26
11.ანჟე	19	6	7	6	26-27	25
12.ბრესტი	19	6	7	6	26-28	25
13.ლიონი	18	6	7	5	26-26	24
14.რეიმსი	19	5	8	6	22-22	23
15.ტრუა	19	4	5	10	18-28	17
16.კლერმონი	18	4	5	9	20-32	17
17.ბორდო	20	3	8	9	30-44	17
18მეცი	19	3	7	9	23-39	16
19.ლორიანი	19	3	7	9	15-31	16
20.სტ.ეტიენი	19	2	6	11	17-40	12

საფრანგეთი. ლიგა 2

ლე ავრი-სოშო	0:1
ვალანსიენი-გენგამი	1:1
გრენობლი-ოსერი	0:1
დიჟონი-ნიმი	1:2
პო-როდეზი	4:0
ბასტია-კევეი	3:0

ჰოხეგაღია. ჰიმეიჩა ლიგა

ვიზელა-მორეირენშე	0:1
ეშტორილი-პორტუ	2:3
ბოავიშტა-ტონდელა	1:1

თურქეთი. სუპერლიგა

გაზიანთები-ქარაგუმრუქი	3:1
ალანია-ბაშაქშეჰირი	1:1
ქაშიმფაშა-ჰატაი	3:1
გალათასარაი-გირესუნი	0:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

ოფი-იანინა	1:1

სამგლოვიარო განცხადებები

ვაზისუბნის მე-4 მიკრორაიონის I კვარტლის მე-13 კორპუსის მობინადრენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ საკუთარი 70 წლის იუბილიდან ორი დღის შემდეგ, შობა დღეს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ტრაგიკულად დაიღუპა ღვაწლმოსილი ხიდმშენებელი ინჟინერი, საუკეთესო მეზობელი და მეგობარი, ძვირფასი ოჯახის თავკაცი, ბატონი

გოდერძი ალექსის ძე ბლუაშვილი

და გულწრფელად თანაუგრძნობენ ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ახლობლებს.

პანაშვიდი: 9, 10 იანვარს.

დაკრძალვა: 11 იანვარს, 14 საათზე.

ცრემლდანამული სტრიქონები

იუზა ყაჭეიშვილთან განშორების 40 დღე

ო, რა რთულია წუთისოფლის კანონები... „მიქრის სიცოცხლე, მისდევს სიკვდილი“. ჰოდა, აი, წამოეწია სიკვდილი ძვირფას მამულიშვილს, მწერალ იუზა ყაჭეიშვილს, რომელიც დედასთან სამუდამოდ განშორებულ შვილებს მანანასა და თამუნას უდედობის სევდას უქარწყლებდა აურწყავი მამაშვილური სიყვარულით.

„მუმიკო!“ ვაი, რომ ხმას ვეღარ მიაწვდენთ თქვენს საამაყო მამას, ჩემო მანანიკო და თამუნა. მე თქვენთან ერთად მივტირი ჩემი საყვარელი ელიკო მასწავლებლის შვილს. იქ, ჩემს სოფელში ბავშვობისა და მოსწავლეობის ტკბილი მოგონებებით. თქვენთან ერთად თანავუგრძნობ ჩოხატაურლებსა და შუაგანახლებისელებს, ვისაც ჩემებრ ეტკინათ გული იუზას გარდაცვალებით, რომელიც როგორც ფიზიკურად, საქმითაც გამორჩეული იყო.

ნათელში იყოს მისი სპეტაკი სული.

პოეტი ნანა დარჩიაშვილი

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა.

მადლიერ პაციენთა რიცხვი ათასობითაა:

ლია თეთრაშვილი: მქონდა მკერდის გამაგრება, მასტოპათია. ლამარა თოდუას მკურნალობით მთლიანად განვიკურნე.

დათო ჭელიძე: წლების განმავლობაში ვიტანჯებოდი ბუასილით. ყველას ვურჩევ, მიაკითხოს ლამარა თოდუას, ნამდვილად სასწაულს ახდენს მისი მალამო.

ჟანა ამირანაშვილი: ბავშვს საბავშო ბაღში გადაედო ტილები, შემდეგ მთელს ოჯახს გადაგვდო. ლამარა თოდუას მიერ დამზადებული ნაყენით ერთ პროცედურის შემდეგ სრულიად გავთავისუფლდით.

ლილი კიზირია: 83 წლის დედას წლები აწუხებდა ჰაიმორიტი, არც კი მჯეროდა, რომ მორჩებოდა, თოდუოების მალამოთი დედა დღეს თავს შესანიშნავად გრძნობს.

დღესასწაულების შემდეგ, ხშირად უჩივიან გულძმარვას (იყოგას), ლამარა თოდუას გამწმენდი სითხეებით პრობლემა მოგეხსნებათ.

გაზაფხულზე ავიტამინოზი ხშირად თმის ბუდობრივი ცვენის მიზეზი ხდება. ლამარა თოდუა თავისი მალამოებით თმის ამოსვლის გარანტიას პირდება ყველა პაციენტს, ვინც მას მიაკითხავს.

ლამარა თოდუას მადლიერების წიგნი 5 ათასამდე მორჩენილი პაციენტის ჩანაწერებს ითვლის, სადაც ხშირად ამოიკითხავთ – „განვიკურნე სრულიად“.

ლამარა თოდუა კვალიფიციური კოსმეტოლოგია და მის მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს. არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქართული ზღაპრების პერსონაჟი; 2. გამოძახილი ანუ...; 3. უცხოური ვალუტის ფასის დადგენა ბირჟაზე; 4. წყლის მოსაპოვებლად გაჭრილი ვიწრო, ღრმა ორმო; 5. არქიტექტურული ნაგებობის მხატვრული სამკაული, ორნამენტი; 6. ქართული სპორტული გაზეთი; 7. ქალაქი კახეთში; 10. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 11. ძველებური ქართული ლექსის ერთ-ერთი ფორმა; 12. ნივთიერების დაშლა სინათლის ზემოქმედების შედეგად; 13. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი, კომიკოსი; 16. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 18. იტალიის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 19. საჭმელი სოკო; 21. სუბტროპიკული ხილი; 24. აფრიკული ცხოველი.

თარაზულად: 1. ქართველი მწერალი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 3. სამეგრელოსა და აფხაზეთში გავრცელებული შავყურნინოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 8. ხორბლის, მარცვლეულის რაოდენობის საზომი საერთაშორისო ერთეული; 9. პროვინციის მმართველი თურქეთში; 14. ხელოვნური მარმარილო; 15. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი; 17. სასვენი ნიშანი გრამატიკაში; 20. ბგერის ნახევარი ტონით დადაბლების ნიშანი მუსიკაში; 22. მღრღნელი ჭია, მატლის საერთო სახელწოდება ძველად; 23. დიპლომატიური კურიერის სპეციალური დალუქული ჩანთა; 25. ახალი თევზისგან მომზადებული წვნიანი კერძი; 26. სუსტი არაყი; 27. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 28. კონგოს დედაქალაქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იოკასტე; 2. ელეგია; 3. კარალიოკი; 4. გელათი; 5. შანსონიე; 7. ვალი; 11. დუმბაძე; 13. გერნიკა; 15. ლორია; 16. ჰალვა; 18. უელსი; 19. იუდეა.

თარაზულად: 6. ოლივიე; 8. კლოშარი; 9. ჰილტონი; 10. სიმინდი; 12. ტაიჭი; 14. პილონი; 17. კურვუაზიე; 20. ფხაკაძე; 21. ბითაძე; 22. საბენა; 23. ბასტილია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დუდა; 2. ილი; 3. ჯაბადარი; 4. გო; 5. ბარახასი; 6. იაგო; 7. ფოცხოვი; 10. პაპი; 11. ზავენტემი; 12. გერმანია; 13. წუღა; 16. ფეიხოა; 18. ლიკეუმი; 19. აფონია; 21. დათვი; 24. კოშმა.

თარაზულად: 1. დესპანი; 3. ჯილაგი; 8. საღამო; 9. დეპო; 14. შპრეე; 15. კულუხი; 17. რადა; 20. რონოდა; 22. სპიჩი; 23. ფრანკი; 25. შჩი; 26. ხაჭო; 27. ლემა; 28. შიომღვიმე.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

10 იანვარი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0890

ევრო — 3.4952

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.1803

100 რუსული რუბლი — 4.0616

ამინდის პროგნოზი 10 იანვრისათვის



ვინიციუსი: „ვალენსიასთან იდეალურად ვითამაშეთ“

მადრიდის რეალის ფორვარდმა ვინიციუსმა ვალენსიასთან შეხვედრაზე ისაუბრა და თქვა, რომ მისმა გუნდმა იდეალური მატჩი ჩაატარა.

ვინიციუსის აზრით, თუ რეალმა ასე გააგრძელა, მის ჩემპიონობას წინ ვერაფერი დაუდგება:

– ვალენსია ძლიერი მეტოქეა და მისი დამარცხება იოლი არ არის, თუმცა ჩვენ იდეალური თამაში ვაჩვენეთ და შედეგი ლოგიკურია. თუ ასე გავაგრძელეთ, ვერავინ შეგვაჩერებს.

ვან დეიკი: „ჩემპიონობა რთული იქნება“



ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა ვირჯილ ვან დეიკმა თავისი გუნდის საჩემპიონო შანსებზე ისაუბრა და თქვა, რომ ამის გაკეთება რთული იქნება, რადგან ლივერპულმა ბევრი ქულა დაკარგა:

– სამწუხაროა, რომ ამის თქმა მიწევს, მაგრამ წელს ჩემპიონობა თითქმის არარეალურია და ამაში ჩვენი თავი უნდა დავადანაშაულოთ. მიუხედავად ამისა, მაინც ბოლომდე ვიბრძოლებთ.

პოგბას მომავალი ისევ გაურკვეველია

მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი ნახევარმცველის პოლ პოგბას მომავალი ისევ გაურკვეველია და შესაძლოა მან გუნდთან ახალი კონტრაქტი გააფორმოს და ამ შემთხვევაში მას ანაზღაურება გაეზრდება.

ასევე შესაძლებელია, რომ პოგბა საფრანგეთში დაბრუნდეს და პსჟ-ს ფეხბურთელი გახდეს, თუმცა პარიზელები ბოლო პერიოდში ნაკლებად აქტიურობენ.

პოგბა ამ თემაზე კომენტარს ნაკლებად აკეთებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ბავშვი, რომელიც გარდაცვლილად ჩათვალეს, სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე ატირდა

თურქეთში ახალშობილი, რომელიც გარდაცვლილი ეგონათ და სასაფლაოზე მიასვენებდნენ, გზაში გონს მოეგო და ატირდა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ექიმებმა მშობლებს ბიჭის დაღუპვის თაობაზე აცნობეს და მამამ მისი სასაფლაოზე გადასვენება გადაწყვიტა. გზაში მოულოდნელად ბავშვი ატირდა და მამამ ის სასწრაფოდ საავადმყოფოში დაბრუნა, სადაც ექიმებმა ისევ დაიწყეს მის გადარჩენაზე ზრუნვა.

ბავშვის მამამ განაცხადა, რომ თავიდანვე გრძნობდა, რომ აქ ყველაფერი ისე არ იყო და ეჭვობდა, რომ ექიმები ცდებოდნენ. უცნობია, აპირებენ თუ არა ბავშვის მშობლები საავადმყოფოს წინააღმდეგ საავადმყოფოში საჩივრის შეტანას.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

10 იანვრისათვის

ვერძი – იყავით გაბედული, თამამი. ხელოვნურ ურთიერთობებს ერიდეთ. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – საიდუმლოს ნურავის გაუმხელთ. მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებათ. მშვიდი დღეა. **ტყუპები** – კოლექტიური საქმიანობისათვის შეუფერებელი პერიოდია. ყოველგვარი პრობლემა ინდივიდუალურად მოაგვარეთ. **კირჩხიბი** – შემოქმედებითი საქმიანობა გაამართლებს. შანსი გეძლევათ, თქვენი ნიჭი სრულყოფილად გამოიყენოთ. რჩევისათვის მეგობრებს მიმართეთ. **ლომი** – პირად ცხოვრებაში მოულოდნელი ცვლილებები მოხდება. მცდარი გადაწყვეტილება ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. **ქალწული** – კონფლიქტური დღეა. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. ქალაქგარეთ გასვლა, მივლინებები იღბლიანი იქნება. **სასწორი** – სხვისი ზეგავლენისაგან თავი დაიცავით. გადაწყვეტილებების მიღებისას მხოლოდ საკუთარ ინტუიციას დაეყრდნინთ. **ღრიანკალი** – გადით ქალაქგარეთ, დაკავდით სპორტით. საკუთარ პრინციპებს არ უღალატოთ. საღამოს ოჯახში სიტუაცია გეძაბებათ. **მშვილდოსანი** – ნუ გარისკავთ, თორემ ავანტიურაში ჩართვა არ აგცდებათ. თვითკონტროლი აუცილებელია. **თხის რქა** – სულიერი და მატერიალური აღმავლობის დღეა. რეალობის აღქმას ნუ დაკარგავთ. **მერწყული** – მოთმინება, თავშეკავება, სიყვარული და მიტევება დღის დევიზია. ბავშვების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. **თევზები** – სასიცოცხლო ძალები სუსტდება. მძიმე წუთებში დახმარებისათვის მხოლოდ ძალიან ახლობელ ადამიანებს მიმართეთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ქეიფის მეორე დღეს კაცი გასიებული სახით, ჩაწითლებული თვალებით, თმააჩეჩილი და პირგაუპარსავი სარკის წინ დგას და ამბობს:

– აი თურმე როგორი ყოფილხარ მესამე ათასწლეულის ადამიანი...

●●●

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– რა საშინელებაა ეს დიეტა.

– რა, მოხდა რამე?

– ავტობუსში მამაკაცის გვერდით აღმოვჩნდი, რომელსაც შემწვარი კარტოფილის სუნი ასდიოდა...

– მერე?

– მერე თავი ვეღარ შევიკავე და ვუკბინე...

●●●

ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, რას აკეთებ?

– ჩვენი ქორწინების მოწმობას ვკითხულობ.

– რატომ?

– მინდა გავიგო, ვადა როდის გასდის.

●●●

ქალი მამაკაცს შენიშვნას აძლევს:

– თუ შეიძლება, ბავშვის თანდასწრებით ნუ იგინებით!

– საერთოდ, რომ იცოდეთ, მე მხოლოდ იმ სიტყვებს ვკითხულობ, რომლებიც მაგ ბავშვმა ჩემს მანქანაზე ამოკაწრა!

●●●

ქალი მამაკაცს ეკითხება:

– მართალია, თქვენზე რომ ამბობენ, საშინელი მექალთანეაო?

– ერთი კარგად შემომხედეთ, აბა, საშინელი ვარ? საშინელი კი არა, სიმპათიური...

●●●

კაცმა სოფელში სილამაზის სალონი გახსნა და შესასვლელის თავზე დააწერა:

„შემეიხედე, რას ჰგავხარ!“

●●●

ქორწილის პირველ ღამეს ახლად შეუღლებულები ლოგინში წვანან. ქმარი ცოლს მუცელზე ხელს ნაზად უსვამს და ეუბნება:

– ეს ჩემი ყანაა, მე აქ კარტოფილს დავთესავ.

გადაბრუნდა და დაიძინა.

მეორე ღამეს ქმარი ცოლს ზურგზე ხელს გადაუსვამს და ეუბნება:

– აქ მე კომბოსტოს დავთესავ.

გადაბრუნდა და დაიძინა.

მესამე ღამეს ცოლი ქმარს ეუბნება:

– მომისმინე, ფერმერო, თუ ამ ღამეს სტაფილოს არ დარგავ, მაშინ ჩემს ყანას გავაქირავებ!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სალომე ჭაჭუას პარტნიორი ცნობილი მორაგბე იქნება

ქართველი მოცეკვავე სალომე ჭაჭუა მონაწილეობას იღებს ირლანდიურ „ცეკვავენ ვარსკვლავებში“. მისი პარტნიორი ცნობილი მორაგბე ჯორდან ქონროი იქნება.

ირლანდიური „ცეკვავენ ვარსკვლავები“ ორშაბათიდან დაიწყება და მასში 12 წყვილი მიიღებს მონაწილეობას.

სალომე ჭაჭუა დარწმუნებულია, რომ მისი და მისი პარტნიორის წყვილი მაყურებლისა და ჟიურის დიდ მოწონებას დაიმსახურებს და მათ პროექტის დატოვება მალევე არ მოუწევთ.

ქართველი მოცეკვავე არა მარტო პროექტის მონაწილეა, არამედ თავის ქორეოგრაფიულ შესაძლებლობებსაც იყენებს და ცეკვების დადგმაში აქტიურად მონაწილეობს.

დემნას სამაჯური 659 დოლარი ღირს

ქართველმა დიზაინერმა დემნამ მოდის მოყვარულებს მორიგი სიახლე შესთავაზა და მსოფლიო კვლავ აალაპარაკა.

საბელი დემნამ სამაჯურად აქცია და მას ბალენსიაგაც წააწერა. ის 659 დოლარი ღირს.

ქართველმა დიზაინერმა სულ ცოტა ხნის წინ დააანონსა, რომ სამკაულების მიმართულებითაც აქტიურად დაიწყებდა მუშაობას.

ბალენსიაგას მიერ მოდის მოყვარულებისთვის შეთავაზებული სიახლე ათასობით მომხმარებელში უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს.

ნუკა კვალიაშვილი გოგონას დედაა



მომღერალი ნუკა კვალიაშვილი მესამედ გახდა დედა. მას და მის მეუღლემ გოჩა გელაშვილს პატარა გოგონა შეეძინათ. ბავშვი გაგუას კლინიკაში დაიბადა. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. მას მშობლებმა ალექსანდრა დაარქვეს.

ნუკას პირველი ქორწინებიდან სანდრო კობახიძისგან ორი ბიჭი, ლუკა და სანი, ჰყავს.

ნუკა კვალიაშვილი:

– ჩვენი ოჯახის ახალთახალი წევრი – კეთილი იყოს შენი ფეხი ამ სამყაროში ძალიან ლამაზო ალექსანდრა. ჩვენ შენ ძალიან, ძალიან გვიყვარხარ.

ნიკა ქაცარიძე მახათას პანთეონში დაკრძალეს

რუსთაველის ეროვნული თეატრის მსახიობი ნიკა ქაცარიძე მახათას პანთეონში დაკრძალეს. 43 წლის მსახიობი გულის შეტევით გარდაიცვალა. მას მეუღლე და 2 მცირეწლოვანი შვილი – მარიტა და ლაზარე დარჩა.

ნიკა ქაცარიძესთან გამომშვიდობება ნებისმიერ მსურველს მის მშობლიურ რუსთაველის ეროვნულ თეატრში შეეძლო. მსახიობისთვის პატივის მისაგებად თეატრში იმყოფებოდნენ მისი კოლეგები, მეგობრები, რიგითი გულშემატკივრები.

ნიკა ქაცარიძე რუსთაველის თეატრიდან ტაშის თანხლებით გამოასვენეს და უკანასკნელ გზაზეც ტაშით გააცილეს.

თამუნა მუსერიძე, ტელეწამყვანი:

– თეატრალურ უნივერსიტეტში ერთ პერიოდში ვსწავლობდით. ორივემ გვიან ჩავაბარეთ. ნიკა პირველ ჯერზე არ მიიღეს, არ დადგება შენგან მსახიობი. კომისიის წევრებს მოუტრიალდა, არ დადგება კი არა, მოვა დრო და რუსთაველის თეატრიდან ტაშით გამომასვენებენო. ეს დღე დადგა!

რობერტ სტურუა, რუსთაველის ეროვნული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი:

– დიდი ადამიანი, უნიჭიერესი მსახიობი რუსთაველის თეატრის ერთგული, სპეტაკი კაცი წავიდა, მიგვატოვა. ნახვამდის ნიკა. არ დაგივიწყებ, სანამ აქ ვარ.

„ცეკვავენ ვარსკვლავების“ ფინალისტები ცნობილია

პროექტი „ცეკვავენ ვარსკვლავები“ მეათე საიუბილეო სეზონით დასასრულს უახლოვდება. პროექტში დარჩენილი 4 წყვილიდან შოუს ბოლოს გავარდნის კანდიდატები გახდნენ რატი გაჩეჩილაძე და სალომე ფაჟავა და ჯულიანა ბარგ ნარი და გიორგი გაბუნია. ბოლო ერთი წუთის ამოწურვისა და ხმების დათვლის შემდეგ, მაყურებლის გადაწყვეტილებით, ფინალში სალომე ფაჟავა და რატი გაჩეჩილაძე გავიდნენ. გიორგი გაბუნიამ და ჯულიანა ბარგ ნარმა კი შოუ დატოვეს.

პროექტის ფინალი მომავალ კვირას გაიმართება და რიგით მეათე „ცეკვავენ ვარსკვლავების“ გამარჯვებულის ტიტულისთვის იბრძოლებენ გიგა კვენტაძე და ირა კვიტინსკაია, თი მაჭავარიანი და ერეკლე გირგვლიანი და სალომე ფაჟავა და რატი გაჩეჩილაძე. გამარჯვებულს, სხვადასხვა პრიზთან ერთად, ბინის გასაღებიც გადაეცემა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სასამართლოს განაჩენი, გადაწყვეტილება; 2. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 3. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 4. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო გაზიანი სასმელი; 5. აფრიკული მაიმუნი; 7. მდინარის ქვიანი ნაპირი; 11. ამერიკული სამხედრო მოიერიშე ვერტმფრენების სერია; 13. აეროპორტი სანკტ-პეტერბურგში; 15. მდინარე ოზურგეთში; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აუქციონი; 18. უწესრიგობა, არეულობა; 19. სკულპტურული ქმნილება.

თარაზულად: 6. ქართული მინერალური წყალი; 8. კუნძული მდინარე ენგურზე; 9. ისტორიული მოედანი პარიზში; 10. ქალაქი მუზეუმი იტალიაში; 12. საბჭოთა მსუბუქი ავტომობილი; 14. ძველბერძენი მოქანდაკე, სკულპტურა „ბადროს მტყორცნელის“ ავტორი; 17. ქართველი ტყვიით მსროლელი ქალი ოლიმპიური ჩემპიონი; 20. ჩრდილო ამერიკაში გავრცელებული კატისებრთა ოჯახის წითელ წიგნში შეტანილი ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 21. უხასიათო, ძნელად შესაგუებელი ადამიანი; 22. ამერიკული ზებგერითი სადაზვერვო თვითმფრინავი; 23. ჯუზეპე ვერდის ოპერა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა